ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 19 იანვარი, 2023 №13 (9049) ფასი: 80 თეთრი

უბედური შემთხვევა თბილისში — ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანს, სავარაუდოდ, დენმა დაარტყა და ადგილზე დაიღუპა



გვ.4

გვ.5

მშობლების მკვლელობაში ბრალდებული: „მედავებიან, რომ დედაჩემი ლოგინშია მოკლული და მერეა გადმოსვენებული იატაკზე“

„სააკაშვილის კარის გასალები ივანიშვილის ჯიბეშია, არ გაათავისუფლებს“

გვ.3

იაგო ხვიჩია: „ხალხის ძალა“ გულწრფელი ხალხი არ არის. ესენი არ არიან პრორუსები. უბრალოდ, დავალებული აქვთ, იყვნენ პრორუსები“

გვ.2

გიორგი კაპანაძე: „მე ვისურვებდი, რომ გიორგი მუმლაძე იყოს ენმ-ის თავმჯდომარე. თუმცა, ვინც არ უნდა იყოს, მივულოცავ გამარჯვებას. არსად წასვლას არ ვაპირებ“

„მელიამ ყველაფერი გააკეთა, რომ სააკაშვილის საკითხი უკანა პლანზე გადასულიყო“

გვ.3

„საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ლავროვის, პუტინის ფილიალია“

მურმან დუმბაძე: „რეალური საფრთხე არსებობს, რომ საქართველოში, პირდაპირი მნიშვნელობით, საბჭოთა კავშირი აღდგეს“

გვ.4

„ნაციონალებს რევოლუციის მოწყობა რომ შეეძლოთ, აქამდე ათჯერ მოაწყობდნენ“

ზურაბ ქადაგიძე: „ხაბეიშვილი იქნება, მელია, მერაბიშვილი თუ კეზერაშვილი ნაცების თავმჯდომარე, მნიშვნელობა არ აქვს“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა

გვ.2

გვ.5

მოზარდებმა მოკრივის ბინის გაქურდვა სცადეს და თავს ძლივს უშველეს

გვ.6

ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილემ თანამდებობა დატოვა



გვ.6

გურამ კაშია: „მშიერი ვარ, მოგებები მინდა“

1993230720223

4 „რუსეთის დაშლა საშიში იქნება“

5 ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმის პროკურორი: „არ არის გამორიცხული, რომ ბრალდებულთა წრე გაფართოვდეს“

6 რამ განაპირობა საკადრო ცვლილებები რუსეთის არმიაში?!

6 ადვოკატმა კლიენტების ფულით ნუდისტურ პლაჟზე დასვენება მოიწყო

„მელიამ ყველაფერი გააკეთა, რომ სააკაშვილის საკითხი უკანა პლანზე გადასულიყო“

გიორგი კაპანაძე: „მე ვისურვებდი, რომ გიორგი მუმლაძე იყოს ენმ-ის თავმჯდომარე. თუმცა, ვინც არ უნდა იყოს, მივულოცავ გამარჯვებას. არსად წასვლას არ ვაპირებ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი კაპანაძე პასუხობს.

– გიორგი, რაც უფრო ახლოვდება ნაციონალური მოძრაობის პარტიული არჩევნები, მით უფრო მეტად იძაბება სიტუაცია. უკვე აღარ ერიდებიან ერთმანეთის მიმართ ტალახის სროლას, ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებას და ა. შ. რა ხდება, რატომ მივიდა საქმე აქამდე?

– სამწუხაროა, რომ მოქმედმა თავმჯდომარემ პარტია ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. დაასუსტა და მისმა შეცდომებმა შედეგად მოიტანა ის, რომ პარტიამ დაკარგა რეიტინგი. გარკვეული ადამიანები ამ პარტიიდან გავიდნენ. გავიდნენ სწორედ იმ დაშვებული შეცდომების გამო, რომელიც ნიკა მელიამ დაუშვა ამ პარტიასთან მიმართებაში. ასევე შეცდომები დაუშვა მესამე პრეზიდენტთან მიმართებაშიც.

ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი საკითხი უკანა პლანზე გადასულიყო.

– რამდენად სწორი იყო მელიას წინააღმდეგ ფარული ჩანაწერის გავრცელება? ვანო მერაბიშვილს ბრალდება ამ ფარული ჩანაწერის გავრცელება.

– კატეგორიულად ვემიჯნები მსგავსი მეთოდების გამოყენებას. არასოდეს მსგავს მეთოდებში მე მონაწილეობას არ მივიღებ, მაგრამ ასევე ვემიჯნები ჭორაობას, ფაქტების და მტკიცებულებების გარეშე. თუ ვინმეს აქვს ფაქტი და მტკიცებულება, ისაუბროს ამაზე. თუ არა და ჭორაობას ყველამ ერთად თავი უნდა დავანებოთ. თუ რამე აზიანებს პარტიას, ერთიანობას და ერთობას, ეს სწორედ ის ჭორაობაა, რომელსაც ზოგიერთები მიმართავენ. მე ვუსმინე ბატონ მელიას და არ უსაუბრია არაფერზე. ჩვენც და ამომრჩევლებსაც, ყველას გვაინტერესებს, რა დამოკიდებულება აქვს მას მესამე პრეზიდენტის მიმართ?! კითხვები დაისვა, მაგრამ მე პასუხები ვერ მოვისმინე.

– ანუ მან მართლა აგინა საკაშვილს?

– არ ვიცი. მან უნდა განმარტოს. თუ მსგავსი უცენზურო სიტყვები ვინმემ გამოიყენა მესამე პრეზიდენტის მიმართ, ეს წითელი ხაზია! ასეთი ადამიანი ნამდვილად არ უნდა იყოს მიშას პარტიის თავმჯდომარე. მეორე მხრივ, მისი გუნდის წევრებისაგან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ წაიღებდნენ ექსპერტიზაზე ლონდონში და დაამტკიცებდნენ, რომ ამ ჩანაწერის შინაარსი ყალბია. თუმცა რატომღაც ამას არ აკეთებენ. კითხვებია და ამ კითხვებზე პასუხებია საჭირო, რომელსაც ნიკა მელია არ პასუხობს!

– ვანო მერაბიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე რას იტყვით? დარაზმა ყოფილი ძალოვნები, ხვდება ჩუმ-ჩუმადო, რა ხდება გიორგი?

– როგორ ხვდება ჩუმად? როცა რესტორანში შეხვდა? ღია, საჯარო სივრცეში. ეს ჩუმად შეხვედრაა?! მეორეც, ვანო მერაბიშვილი ამ პარტიის დამფუძნებელია! გენერალური მდივანი იყო ორგზის! ვინც ახლა მის ლანძღვას დაიწყებს, მისი მეხუთედი საქმე მაინც გააკეთოს ამ პარტიისათვის!

– გიორგი, ვისმენთ შეფასებებს, რომ სიტუაცია იმდენად დაიძაბა, არჩევნების შემდეგ პარტია აუცილებლად დაიშლებაო. ამაზე რას იტყვი? დამარცხებული შეეგუება ფაქტს, დარჩება პარტიაში?

– პირდაპირ გეტყვით, პარტიაში არსებული მდგომარეობის და სიტუაციის მიხედვით, დღეს რომ ტარდებოდეს არჩევნები, ნიკა მელია წააგებს დიდი სხვაობით და ნაციონალურ მოძრაობას ეყოლება ახალი თავმჯდომარე. ეს არის ფაქტი. სწორედ ამაზე მიუთითებს არსებული მდგომარეობა. ცვლილებები, განახლებაა საჭირო. არავინ არავის არ და ვერ გააგდებს პარტიიდან. ვისაც ბრძოლა უნდა, მე ვეუბნები, რომ ერთად ვიბრძოლოთ. მე არა მგონია, რომ დაიშალოს პარტია. რამდენჯერმე უკვე სცადა ეს ამ ხელისუფლებამ და ვერ შეძლო. ახლა, თუ პარტიიდან ვინმე უნდა წავიდეს იმიტომ, რომ თანამდებობაზე არ იქნება, ეს მისი გადასაწყვეტია.

– სწორედ ხელისუფლების ინტერესებშია, რაც ნაცმოძრაობაში ხდება და ვანო მერაბიშვილიც სწორედ ბიძინამ შემოაგდოო.

– რა აქვს ვანო მერაბიშვილს ვინმეს შემოსაგდები?! ადამიანი 7 წელი სამარტოო საკანში იჯდა და ვერაფერი ვერ ათქმევინეს, ჩვენება ვერ მიაცემინეს ვინმეს წინააღმდეგ! ახლა გამოდის ვინმე და ვანო მერაბიშვილს აკრიტიკებს?! ჯერ მისი მეათედი წნეხი მაინც გაიარე, კაცო! 7 წელი სამარტოო საკანში! ბევრი შეძლებს ამას? თუნდაც ჩვენი პარტიიდან?! ზოგიერთივით პოზიცია კი არ შეუცვლია.

„მერაბიშვილს აგენტობა დააბრალეს. რუსეთის აგენტებს პრორუსული ხელისუფლება არ იჭერს და 7 წელი სამარტოო საკანში არ ამყოფებს“

– ვანო რუსეთის აგენტიაო.

– აბსურდული ბრალდებაა! და ძალიან სამწუხარო ბრალდებაა. რუსეთის აგენტებს პრორუსული ხელისუფლება არ იჭერს და 7 წელი სამარტოო საკანში არ ამყოფებს. ეს ყველას უნდა ესმოდეს. სამწუხაროა, რომ ასეთი რამ გაჟღერდა.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– მე მჯერა, რომ დალაგდება სიტუაცია, კვლავ გავერთიანდებით და ახალი თავმჯდომარე ყველას ხელს გაუწვდის. ჩვენ ერთმანეთში გასაყოფი არ გვაქვს არაფერი. სკამს არავინ არ უნდა გამოეკიდოს. ვინც გაიმარჯვებს, პირადად მე მივულოცავ მას! მე ვისურვებდი, რომ ეს გიორგი მუმლაძე იყოს. თუმცა, ვინც არ უნდა იყოს, მივულოცავ გამარჯვებას. არსად წასვლას არ ვაპირებ.

ნიკა მელია: „ლავროვი კმაყოფილია იმ ანტიდასავლური და, შესაბამისად, ანტიქართული პოლიტიკით, რასაც ატარებს „რუსული ოცნება“

დღეს კიდევ ერთხელ დაფიქსირდა სრული სახელმწიფოებრივი და ეროვნული კატასტროფა – პუტინის დანაშაულებრივი რეჟიმი, კრიმინალ ლავროვის პირით მადლობას უცხადებს საქართველოს ხელისუფლებას, – ასე ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებას.

ნიკა მელიას განცხადებით, ეს არის პირდაპირი დადასტურება იმის, რომ საქართველოს მართავს არა დამოუკიდებელი მთავრობა, არამედ რუსული საოკუპაციო რეჟიმი.

– სერგეი ლავროვი კმაყოფილია იმ ანტიდასავლური და, შესაბამისად, ანტიქართული პოლიტიკით, რასაც ატარებს რუსული ოცნება და რაც პირდაპირ გამორიცხავს საქართველოს უმთავრეს მისწრაფებებს, ეროვნულ ინტერესებს; ხელყოფს საქართველოს, როგორც სამშობლოს და როგორც სუვერენულ სახელმწიფოს.

რუსეთისადმი როგორც მეტროპოლიისადმი, ივანიშვილის გუნდის მარიონეტული დამოკიდებულება, არის პირდაპირი ღალატი საქართველოს ისტორიის, მისი თანამედროვეობისა და მისი მომავლის.

ხარობს რუსეთი დღეს იმით, რაც საქართველოში ხდება; ხარობს რუსეთ-საქართველოს კონტაქტების გაუმჯობესებით.

ეს ხდება იმის ფონზე როდესაც ცივილიზებული სამყაროდან რუსეთი სრულიად იზოლირებულია.

რუსეთი მარცხდება ომში უკრაინასთან და მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან, ამის ფონზე კი ასრულებს თავის მიზნებს საქართველოში, რბილი ძალისა და მათ მიერ მართული რუსული ოცნების ხელისუფლების მეშვეობით.

ლავროვს უხარია, რომ საქართველო კარგავს ევროპულ პერსპექტივას და აღარ მალავს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება რუსეთის გუბერნია.

რუსეთს უხარია, რომ საქართველოში ოცნების ხელისუფლების ხელით კლავს თავისუფლებისათვის მებრძოლ, საქართველოს მესამე პრეზიდენტს, კლავენ კიდევ ერთ პრეზიდენტს საქართველოში – რომელმაც უთხრა რუსეთის მსახურებას „არა“, კლავს ისევე, როგორც დაგეგმა და განახორციელა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა. რუსეთს უხარია, რომ მოახერხა და საქართველოს თანამედროვე, ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში შემოიტანა ბზარი და დაქსაქსულობა მაშინ, როდესაც საქართველო დგას ისტორიულ გზაგასაყარზე, დგას ადგილზე, საიდანაც ნაბიჯი უკან არის უფსკრულში გადაჩეხვა.

დღეს არის დაქსაქსულობა იმ პარტიაშიც, რომელიც ლოკომოტივის როლს უნდა ასრულებდეს და ამ უფსკრულიდან ევროპისკენ მიუძღოდეს ქვეყანას.

ამ პარტიაში, ერთიან ნაციონალური მოძრაობაში, ახლა შიდა არჩევნებია. არჩევნები, რომელიც დროულად უნდა დასრულდეს. შემდეგ კი სწრაფი ცვლილებებით, ოპოზიციური ამომრჩევლისა და მთელი საზოგადოების კონსოლიდაციით, დავიწყებთ სწრაფ მოძრაობას წინ, ევროპისაკენ!

დღეს რაც ხდება საქართველოში, უხარია რუსეთს!

ვერ გაიხარებს საქართველოში – ვერც რუსეთი, ვერც რუსული ოცნების მთავრობა და ვერც რუსეთის მიერ საქართველოში დამკვიდრებული მეთოდები.

გავიმარჯვებთ ღირსებითა და სიმართლით ყველა ჩვენს ბრძოლაში, მხოლოდ ასე დამარცხდება რუსეთი საქართველოში, – წერს ნიკა მელია.

ცნობისთვის, როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე „ალტ-ინფოს“ ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, დასავლეთის მხრიდან ზეწოლას განიცდის, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან მიერთებას „ღიად და ურცხვად მოითხოვს“.

– ამ პატარა ქვეყანას და მის მთავრობას აქვს გამბედაობა თქვას, რომ ისინი საკუთარი ინტერესებით, ეკონომიკური ინტერესებით იხელმძღვანელებენ – ეს შექებას იმსახურებს, – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო მსოფლიო ეკონომიკური ლიდერების არაფორმალურ ლანჩს, სახელწოდებით – „გლობალური თანამშრომლობის ახალი მუხტი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ მსოფლიო ეკონომიკური ლიდერების არაფორმალურ ლანჩს, სახელწოდებით – „გლობალური თანამშრომლობის ახალი მუხტი“.

ლანჩის მასპინძელი იყო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი, პროფესორი კლაუს შვაბი, მოდერატორი კი – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტი ბრენდე ბორგე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ალექსანდრ ვუჩიჩს შეხვდა.

განსახილველი საკითხები იყო საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ხაზი გაესვა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობას.

საუბარი შეეხო ევროპული ინტეგრაციის საკითხებს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს რეგიონსა და მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების გარემო და გამოწვევები.

პრემიერ-მინისტრმა და სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ორი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ლავროვის, პუტინის ფილიალია“

მურმან დუმბაძე: „რეალური საფრთხე არსებობს, რომ საქართველოში, პირდაპირი მნიშვნელობით, საბჭოთა კავშირი აღდგეს“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, რას იტყვით ლავროვის განცხადებაზე, რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ სანქციებზე საქართველოს არ შეერთება დადებითად შეაფასა? – ზეწოლის მიუხედავად, პატარა ქვეყანასა და მის ხელისუფლებას ყოფნის გამბედაობა, საკუთარი ინტერესებით იხელმძღვანელოს. რაც შექებას იმსახურებს, – ამბობს სერგეი ლავროვი.

– საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება შექებას იმსახურებს არა მხოლოდ ლავროვისგან, არამედ პუტინისგან, ბელარუსიისგან, ჩრდილოეთ კორეისა და ნაწილობრივ ირანის ხელისუფლებისაგან. ლავროვის ეს განცხადება არის ტესტი. ახლა „ქართულმა ოცნებამ“ როგორც უნდა, ისე ჭრას და კეროს. მათ თავიანთი პოლიტიკით შექება დაიმსახურეს არა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისგან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისგან, არამედ ლავროვისგან. ამით ყველაფერი ნათქვამია.

საქართველო, ჩვენდა საუბედუროდ, აღმოჩნდა არა მოწინავე დასავლური ცივილიზაციის გვერდით, სადაც დგანან რეალურად მსოფლიოს ცივილიზებული ერები, არამედ აღმოჩნდა რუსეთის გვერდით და ამიტომ მათ პუტინისგანაც კი არა, ლავროვისგან დაიმსახურეს შექება. ეს არის უბედურება იმ ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს რუსეთს. სამარცხვინოა.

– ლავროვის შექება შეიძლება ქმედებაში გადაიზარდოს? მაგალითად, მოხდეს მავთულხლართების შეჩერება, რუსული ნაწილების გაყვანა და ა.შ.

– გამორიცხულია! რუსეთს მორიგი ინტერვენცია აღარ დასჭირდება, მან იცის, რომ საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ლავროვის, პუტინის ფილიალია. საქართველო რუსეთის მიერ სამ ტერიტორიულ ერთეულად არის დაშლილი. რუსული ბაზები და დანაყოფები ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ყოველდღიურად ხდება მავთულხლართების გავლება და ქართული მიწის ჩამოჭრა. ამ ფონზე ლავროვი საქართველოს ხელისუფლებას ეუბნება, რომ შექების ღირსია – ამით ყველაფერი ნათქვამია. გვყავს არა პრორუსი ხელისუფლება, არამედ პირდაპირ პუტინის ფილიალი გავხდით. რეალური საფრთხე არსებობს, რომ საქართველოში, პირდაპირი მნიშვნელობით, საბჭოთა კავშირი აღდგეს. ერთადერთი მინუსი მთელ ამ ამბავში არის ის, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ემიჯნება რუსეთს.

– „ქართული ოცნების“ წევრი ბექა ოდიშარია ამბობს, რომ როდესაც ნაციონალურ მოძრაობას უჭირს, რუსეთი მსგავსი განცხადებებით მაშველ რგოლად ევლინებათო.

– ეს რა ლოგიკაა. რა შუაშია ნაციონალური მოძრაობა. ბექა ოდიშარიამ 2004 წლიდან 2012 წლამდე ნაციონალური მოძრაობის პირობებში იშოვა დიდი ფული. ახლა ძალიან ეშინია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ მოვიდეს ხელისუფლებაში და მასზე არ იძიოს შური, მაგრამ ვამშვიდებ, შურისძიების დრო დამთავრდა. წარსულს ჩაბარდა. დიახ, ოპოზიცია, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვა, მაგრამ შურისძიება აღარ იქნება. ის მთავარი „ოცნების“ ლიდერებიც, რომლებიც ერთ დროს ნაციონალური მოძრაობის სახეები იყვნენ, მინდა დავამშვიდო და დავპირდე, შურისძიება აღარ იქნება.

– ნიკა მელიას ინტერვიუს ერთ პასაჟზე მინდა გკითხოთ, იცოდით, რომ გლდანში ვანო მერაბიშვილი მელიას, როგორც ოპოზიციის კანდიდატს, ხელს უშლიდა?

– არა. მე ამ ყველაფერს განვიხილავ წინასაარჩევნო კონტექსტში. ახლა არ არის დაპირისპირების დრო. რადგან ძალიან მნიშვნელოვანი, ამ ქვეყნის მომავლისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა არის გადასაჭრელი. ეს ხელისუფლება უნდა გავისტუმროთ და უნდა მოვიდეს ახალი, პროდასავლური ხელისუფლება. ამისთვის კი ძალიან დიდი შრომაა საჭირო. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანას სჭირდება ძლიერი ოპოზიციური პარტიები და არა დასუსტებული, დაქუცმაცებული ძალები, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანენ და ერთმანეთს ჭამენ.

მე თუ მკითხავთ, გამოსავალს საერთო დიდ პროდასავლურ ოპოზიციურ გაერთიანებაში ვხედავ. ასე შეგვეძლება ლავროვის, პუტინის, რუსი ოლიგარქის დამარცხება.

ძლიერი ოპოზიციური გაერთიანება თუ შეძლებს ამ ხელისუფლების დაბალანსებას. დასუსტებული, გათითოკაცებული პარტიები ვერაფერს გახდებიან. ამიტომ მოლაპარაკებები უნდა შეძლონ ოპოზიციის ლიდერებმა. უნდა შეძლონ შეთანხმება.

– თუ ამ არჩევნებმა ნაციონალური მოძრაობა დაშალა...

– არა, ეს გამორიცხულია.

– რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

– რადგან არსებობს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არის გამაერთიანებელი ფაქტორი. ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის იდგა სააკაშვილის ფაქტორზე და ასე იქნება მომავალშიც. ეს არ უნდა დაავიწყდეს არავის.

– რას იტყვით ელექტორატზე? სად შეიძლება ეს ხალხი აღმოჩნდეს?

– ხუთიანის შემომხაზველი ელექტორატი არის მიხეილ სააკაშვილის შემომხაზველი, მისი მხარდამჭერი და მისი ერთგული. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ ძალიან ნუ გაუხარდება და ძალიან ნუ დაიმშვიდებს თავს.

„სააკაშვილის კარის გასაღები ივანიშვილის ჯიბეშია, არ გაათავისუფლებს“

იაგო ხვიჩია: „ხალხის ძალა“ გულწრფელი ხალხი არ არის. ესენი არ არიან პრორუსები. უბრალოდ, დავალებული აქვთ, იყვნენ პრორუსები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– იაგო, ბოლო ორი დღეა აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო მიხეილ სააკაშვილს სასჯელს გადაუვადებს და სამკურნალოდ გაუშვებს. მომწიფდა საამისოდ სიტუაცია? ან თუ ასე მოხდა, ეს რამდენად დააზარალებს „ოცნებას“? ხელისუფლების მომხრეების შეფასებებიც მოვისმინე, რომ თუკი ასე მოიქცევიან, ეს „ოცნებას“ დაასრულებსო. რამდენად ცუდ მდგომარეობაშია ხელისუფლება? რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– მე არ ველოდები, რომ მიხეილ სააკაშვილს გადაიყვანენ საზღვარგარეთ სამკურნალოდ. ის პროცესები, რაც ახლა მიმდინარეობს სასამართლოში, ამაზე არ მიუთითებს და მოგეხსენებათ, რომ არაფერია გამორიცხული. მიხეილ სააკაშვილის სადმე გადაყვანის და გადმოყვანის ამბავი, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია იმაზე, რას გადაწყვეტს ბიძინა ივანიშვილი. მე ვინაიდან არ ვიცი, რა სტიმულებით ღებულობს ის ადამიანი გადაწყვეტილებას, ვერაფერს ვერ ვამბობ. თუმცა სასამართლო პროცესზე რაც ხდება, ის არაფერ შუაში არ არის იმასთან, რომ ის მიშას გასაშვებად ემზადება. მე ასეთი შთაბეჭდილება არ მაქვს.

– ისევ კლინიკაში დატოვებენ?

– მე ვფიქრობ, რომ არაფერი შეიცვლება. ზედმეტი აჟიოტაჟი იყო, რაც არსებობდა ამ საახალწლოდ და ეს მინავლდება, როგორც აქამდე მინავლებულა. რასაკვირველია, თუ რამე ისეთი არ მოხდა, რაც მე არ ვიცი და უბრალოდ ინფორმაცია არ მაქვს.

– ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას გულისხმობთ?

– დიახ. მიხეილ სააკაშვილის კარის გასაღები მხოლოდ ივანიშვილის ჯიბეშია და ამაზე თავის მოტყუებას არანაირი აზრი არ აქვს.

– რამდენად სერიოზული ზეწოლაა დასავლეთიდან?

– გააჩნია ვისთვის რა, როგორ ზეწოლად ითვლება. რაც ჩანს, ის სრულიად საკმარისი ზეწოლა იყო იმისთვის, რომ აქამდე საქმე არ მიგვეყვანა, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს სიგიჟე გრძელდება.

– ბიძინა ივანიშვილმა „ხალხის ძალა“ აალაპარაკა, რომ მიშას მოწამვლა და მისი ლიკვიდაცია სწორედ მიშას პარტნიორებს აწყობთო. რატომ გამოაგორეს ახლა ეს თემა, ვის აბრალებენ სააკაშვილის მოწამვლას ან ვის სჭირდება მისი სიკვდილი, მათივე გადმოსახედიდან? ვის ურტყამენ, დასავლეთს?

– „ხალხის ძალა“ გულწრფელი ხალხი არ არის. ესენი არ არიან პრორუსები. უბრალოდ, „ხალხის ძალას“ დავალებული აქვთ, იყვნენ პრორუსები. იმისთვის, რომ ხმა წაართვან იმ ხალხს, ვინც მართლა პრორუსია და წარმოადგენს პრორუს ამომრჩეველს. აქედან გამომდინარე, მე მგონია, რომ ეს პროექტი არ არის წარმატებული. იქიდან გამომდინარე, რომ ფეიკპრორუსი პარტიაა „ხალხის ძალა“, რომელიც არ შედგება პრორუსებისგან.

– მაშინ ასეთი წარუმატებელი ძალა რაში სჭირდება ივანიშვილს, რისთვის იყენებს?

– ჯერ ეს არ ვიცით ჩვენ. მე ამ ხალხს ვიცნობ და ისინი არანაირად არ არიან პრორუსები. ამ ხალხს, უბრალოდ, ახლა ეს როლი აქვთ დავალებული.

– ანუ იძულებულები არიან, მსგავსი განცხადებები აკეთონ ბიძინას დავალებით? ამას ამბობთ?

– დიახ, მათ ერთგვარად ასეთი კონტრაქტი აქვთ, რომ ასეთი პოზიცია უნდა დააფიქსირონ. ეს პროექტი წარმატებული არ იქნება. ესენი ახლა ცდილობენ, ნამდვილ პრორუს პარტიებს წაართვან ხმები. ტყუილებით კი არაფერი გამოუვათ.



– იაგო, ბოლო პერიოდია აქტიურად საუბრობენ საკადრო ცვლილებებზე მმართველ გუნდში. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ამის თაობაზე? სჭირდება დღეს ბიძინა ივანიშვილს საკადრო ცვლილებები?

– ეს ჭორები მეც გავიგე, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. საკადრო ცვლილებები კი სულ არის საჭირო. „ქართულ ოცნებას“ ახლა კი არა, ცვლილებები რამდენიმე წლის წინაც სჭირდებოდა, მაგრამ დღევანდელ კონტექსტთან, მე მგონი, ეგ არაფერ შუაშია.

– ოპოზიციაზე რას იტყვით? ამ პარტიული არჩევნების გამო ნაციონალურ მოძრაობაში ლამის ერთმანეთი დაჭამეს. სააკაშვილი აღარც ახსოვთ საერთოდ. სწორედ ეს არჩევნები ხომ არ დაშლის ნაცებს?

– წარსულში არასწორი ცხოვრების და ბევრი შეცდომის არაღიარების გამო არსებობს ეს პრობლემები, რაც არსებობს ახლა ნაცმოძრაობაში. ასევე, იმ გაუაზრებლობის შედეგია, რომელიც ამ პროცესში ბევრი მიმართულებით სუფევდა. ახლა რაღაცნაირად ეს მივიდა კულმინაციამდე. ვნახოთ, სადამდე მივა ეს სიტუაცია. არაფერი გასაკვირი და მოულოდნელი მთელ ამ პროცესში არ არის.

– ნიკა მელია აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილს სურს არაფორმალური მმართველობა პარტიაში და ხაბეიშვილს ზურგს უმაგრებსო. რამდენად ცდილობს პოზიციების გამაგრებას? დადის რეგიონებში, ხვდება ყოფილ ძალოვნებს. რისთვის ემზადება მერაბიშვილი, დიდი დაბრუნებისთვის?

– მე ახლოს არ ვიცნობ მერაბიშვილს და არ ვიცი, რას აკეთებს ნაცმოძრაობაში, მაგრამ ბატონი მერაბიშვილი მე უგონო ადამიანი არ მგონია და თავდადებით იბრძოდეს იმისთვის, რომ ასეთი გულშემატკივრობით ნაცმოძრაობა ტრიუმფს მიაღწევს, წესით, ამის არ უნდა სჯეროდეს. დანარჩენი ჭორ-მართალი ნელ-ნელა გაირკვევა მთელ ამ პროცესში. არ მინდა ადამიანებს ცილი დავწამო და იმ კამპანიის ნაწილი გავხდე, რაც ახლა ნაცმოძრაობაში მიმდინარეობს.

– არჩევნების შემდეგ დაიშლება ეს პარტია?

– ეს არჩევნები რას გამოიწვევს, არ ვიცი. თუმცა ნაცმოძრაობა აქამდეც რომ დაშლილიყო, არც ეს გამიკვირდებოდა. ეს უკეთესი იქნებოდა მათთვისაც და უკეთესი იქნებოდა მიხეილ სააკაშვილისთვისაც, თავი რომ დავანებოთ ქვეყნის ინტერესებს. თუმცა ეს მათი გადასაწყვეტია.

„რუსეთის დაშლა საშიში იქნება“

ლუკ კოფი: „საბჭოთა კავშირი ბოლომდე დაშლილი არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ლუკ კოფი, რომელსაც საქართველოშიც იცნობენ, ბელარუსის თავისუფალ მედიასთან აღნიშნავს, რომ დასავლეთმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის სახელმწიფოების ინტეგრაციას დასავლეთის ოჯახში, ხოლო პოსტპუტინისტური რუსეთის (რუსეთი შეიძლება დაიშალოს) რეფორმირება-ტრანსფორმირებაში არ უნდა ჩაერიოს. ექსპერტის აზრით, რუსეთში დემოკრატების გამოჩენა შეუძლებელია. დემოკრატად ვერ ჩაითვლება ნავალნიც კი. მას მოჰყავს კრემლის ამ ოპოზიციონერის გამონათქვამები 2008 წლის ომსა და ქართველებზე.

– ხედავთ თუ არა ნიშნებს იმისა, რომ რუსეთი შეიძლება დაიშალოს?

– 1991 წელს ბერლინის კედლის ნგრევას და საბჭოთა კავშირის დაშლას უწოდებდნენ საბჭოთა იმპერიის აღსასრულს. მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ დაშლის დასაწყისი იყო. ისტორიას დროის შეკუმშვის უნარი აქვს და ისტორიკოსები 200 წლის შემდეგ, როცა დაწერენ საბჭოთა კავშირის დაშლაზე, აღწერენ რუსეთის უკრაინაში შეჭრას 2022 წლის თებერვალში, როგორც ამ დაშლის უკანასკნელ და, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან აქტს.

სსრკ-ს კრახს ვაკვირდებით 1990-იანი წლებიდან. შეხედეთ სასაზღვრო შეჯახებებს ყირგიზსტანსა და ტაჯიკისტანს შორის, საბრძოლო მოქმედებებს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რუსეთის შეჭრას საქართველოში 2008 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას 2014 წელს, რუსეთის სამხედრო ყოფნის გაგრძელებას დნესტრისპირეთში, შემდეგ კი რუსეთის ფართომასშტაბიან შეჭრას უკრაინაში შარშან, – საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ იშლება.

15 ახალი რესპუბლიკის გაჩენა ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ, შეიძლება შევადაროთ ავტომობილის წინა უსაფრთხო მინის ჩამტვრევას: მინა იმსხვრევა სუფთად, აკურატულად, უსაფრთხოდ. როცა რუსეთის ფედერაცია დაიშლება, ეს არაპროგნოზირებადი და ძალიან საშიში იქნება.

ბევრი ახალგაზრდა ეთნიკური უმცირესობებიდან იბრძვის უკრაინაში რუსეთის არმიაში. ისინი ოდესმე შინ დაბრუნდებიან და მიხვდებიან, რომ პერსპექტივა არა აქვთ. რუსეთი იგრძნობს დიდ ზეწოლას ეკონომიკური სანქციებისგან. თუ რუსეთი უკრაინაში სამხედრო მარცხსაც იწვნევს, ეს მოახდენს უდიდეს ზემოქმედებას რუსეთის ელიტებზე.

როგორც ვატყობ, რუსეთი 15 ან 20 წლის შემდეგ რუკაზე დღევანდელი სახით აღარ იარსებებს, ვინაიდან დაიშლება. იქნება ძალის სხვადასხვა ცენტრი. მათ ექნებათ კონკურენცია გავლენებისა და კონტროლის მოპოვებაზე. შესაძლოა, იყოს სამოქალაქო ომი, სეპარატიზმი, ამბოხებები, რეგიონული ომები რუსეთის შიგნით. ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

– დააჩქარებს თუ არა პუტინის აგრესია უკრაინაში ამ პროცესს?

– ვლადიმერ პუტინმა ძალიან ღრმად შეტოპა თავისი ფართომასშტაბიანი შეჭრისას უკრაინაში. ეგონა, რომ ზელენსკის რამდენიმე დღეში შეცვლიდა.

უკრაინას, ასევე ბელარუსს, პუტინის წარმოდგენაში ძალიან დიდი მნიშვნელობა

აქვთ მსოფლიოში რუსეთის როლის წარმოჩენის მხრივ. უკრაინასა და ბელარუსზე რუსეთის კონტროლის გარეშე რუსეთი უბრალოდ აზიური „დერჟავაა“. ყველაფერი, რასაც პუტინი აკეთებდა შარშანდელ 24 თებერვლამდე, მიზნად ისახავდა ძალაუფლებისა და საკუთარი გავლენის შენარჩუნებას. 24 თებერვლის შემდეგ უკვე საუბარია მემკვიდრეობითობის შექმნაზე.

– როგორ გესახებათ ჩინეთის პოზიციის შეცვლა რუსეთის ფედერაციის მომავალი კრახის მოლოდინში? გახდება ამ პროცესის შემდეგ ჩინეთი აშშ-ის უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე?

– ჩინეთი ისარგებლებს რუსეთის ფედერაციის დაშლით. რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთს ეჯიბრებიან გავლენებისათვის ცენტრალურ აზიაში. მგონია, რომ ვნახავთ, როგორ გაიშლება ეს პროცესი.

საკვანძო დაშვება იდეისა, რომ რუსეთის ფედერაცია შეიძლება დაიშალოს, არის უკრაინის გამარჯვება. ვფიქრობ, რომ უკრაინის გამარჯვება ტაივანს უფრო უსაფრთხოს გახდის. თუ უკრაინას გავუწევთ დახმარებას, რომელიც მას გამარჯვებამდე მიიყვანს, ეს ჩინეთს აიძულებს, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საკუთარი გეგმები ტაივანის მიმართ. უკრაინის გამარჯვება რუსეთზე გააძლიერებდა ამერიკისა და მისი მოკავშირეების პოზიციებს ჩინეთის წინააღმდეგ.

– რომელ პოლიტიკოსს შეუძლია პუტინის შეცვლა რუსეთში ან მის შემცირებულ ვერსიაში?

– მიამიტობაა იმის მოლოდინი, რომ პუტინს შეცვლის თომას ჯეფერსონის სტილის რომელიმე დემოკრატი. ოპოზიციონერი ნავალნიც კი (რომელზეც სამომავლოდ დასავლეთში ბევრი იმედს ამყარებს), ჩემი შეფასებით, ნაციონალისტი, ქსენოფობი და ისლამოფობია. ის აკეთებდა რასისტულ განცხადებებს ქართველი ხალხის მიმართ, მხარს უჭერდა ომს საქართველოს წინააღმდეგ.

ვთვლი, რომ დასავლეთმა, განსაკუთრებით კი აშშ-მ, უნდა აღიაროს ჩვენი გავლენის ზღვარი ისეთი ქვეყნის გარდაქმნისას, როგორიც რუსეთია. ჩვენ ეს 90-იან წლებში ვცადეთ და წარმატებას ვერ მივაღწიეთ. ჩვენ, უბრალოდ, არ შეგვიძლია ამის გაკეთება. ამის მაგივრად ძალები უნდა მივმართოთ იმაზე, რაც შეგვიძლია. კერძოდ, იმ ოჯახთან შეერთებაზე, რომელსაც წარმოადგენენ აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნები, რომლებსაც უნდათ გახდნენ ევროატლანტიკური თანამეგობრობის ნაწილი.

„ნაციონალებს რევოლუციის მოწყობა რომ შეეძლოთ, აქამდე ათჯერ მოაწყობდნენ“

ზურაბ ქადაგიძე: „ხაბეიშვილი იქნება, მელია, მერაბიშვილი თუ კეზერაშვილი ნაცების თავმჯდომარე, მნიშვნელობა არ აქვს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.

– ბატონო ზურაბ, თითქოს ახალი ტრენდი შემოვიდა პოლიტიკურ სივრცეში. აცხადებენ, რომ სააკაშვილმა საიდუმლოებები იცის (იგივე აგვისტოს ომისა და სხვა ფაქტების შესახებ) და მისი პატრონები მიშას გათავისუფლებას ცდილობენო. ასეთი განცხადებები რაზე მიგვანიშნებს?

– ეს ტრენდი არ არის, ფაქტი და რეალობაა. მიხეილ სააკაშვილი და, ზოგადად, ნაციონალური მთავრობა ერთ-ერთი დიდი პროექტის ნაწილი იყო. ასეთი მთავრობები სხვადასხვა ქვეყნებში ფერადი რევოლუციების შედეგად მოვიდნენ. აქედან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილს კონკრეტული მიზეზები და ამოცანები ჰქონდა, რომელ მიზეზებსა და ამოცანებსაც თავისი პატრონები, ე.წ. ლობისტები გეგმას უსახავდნენ და ავალებდნენ, რა უნდა გაეკეთებინა.

მათი მმართველობის შედეგად ძალიან ბევრი ცუდი ფაქტი მივიღეთ, რითაც ქვეყანა დაზარალდა. ამ ცუდი ფაქტების რაოდენობამ და სიდიდემ ის გამოიწვია, რომ მიხეილ სააკაშვილი ახლა ქართული პოლიტიკისთვის კეთროვანია.

– მსოფლიო პოლიტიკისთვის? ახლა ისეთ ინფორმაციებს ავრცელებენ, თითქოს რაღაც ინფორმაციებს ფლობს.

– არა. მას კონკრეტული ფუნქცია ჰქონდა, რომელსაც ის ასრულებდა. ამიტომაც არაჟნებით შემოაპარეს, რათა ქართულ რეალობაში გარკვეული ცვლილებები მოეხდინა. ეს კი, შემდეგ პოლიტიკურ კონიუნქტურაში, დასავლურ კონიუნქტურაში დაბრუნებას გამოიწვევდა, რომელსაც ე.წ. ომის ლობისტები ქმნიან. სხვათა შორის, ეს დააფიქსირა უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა – სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, უფრო მეტად შეძლებდა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას, ხელისუფლება კი გადაწყვეტილებას არ იღებსო.

ახლა თქვენს კითხვას დავუბრუნდები. მიხეილ სააკაშვილს ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვს, თუ რა პროექტსა და რა ვითარებაზე იყო საუბარი და რა შედეგები უნდა მიეღოთ. ამიტომ, თუ მიხეილ სააკაშვილი დაინახავს, რომ ინტერესების მიღმაა დარჩენილი, დიდი ალბათობით ალაპარაკდება და ყველაფერზე ისაუბრებს.

– რაზე შეიძლება ისაუბროს?

– მიხეილ სააკაშვილი ისაუბრებს, ვთქვათ, როგორ მოხდა უკრაინის მიერ ჩა-

მოწერილი იარაღის მიწოდება საქართველოსთვის, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ათმაგ ფასად შეისყიდა, ხოლო ვარგისიანი იარაღი როგორ იყიდებოდა აზიასა თუ აფრიკაში. მაგალითად, ომის თემა, რეალურად, რა როგორ მოხდა, ვინ იყო ჩართული, ვინ რა როგორ უთხრა, ასეთი თემები ძალიან ბევრია.

აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობაა, რომ სააკაშვილმა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ამ ყველაფერზე ლაპარაკი დაიწყოს. ეს არავის აწყობს. განსაკუთრებით, იმ ლობისტებს, რომლებიც სააკაშვილის პოლიტიკურ კარიერას ლობირებდნენ.

დიდი ალბათობით, შეიძლება, სააკაშვილის ფიზიკურ ყოფნა-არყოფნასაც საფრთხე დაემუქროს. აქ ტრენდზე არ არის ლაპარაკი. ჩვენმა მოძრაობამ ამაზე განცხადება გააკეთა. თავისუფლად შესაძლებელია გეგმა „ბე“ ამოქმედდეს.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოში პოლიტიკურად იმდენად განულებულია, რომ ამ ქვეყანაში მას არანაირი წონა არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, არავის სჭირდება.

თუ სააკაშვილი ალაპარაკდა და თქვა, რა გეგმები იყო, ხელისუფლებას ასი ყური და თვალი სჭირდება, რომ რაიმე პროვოკაციას არ ჰქონდეს ადგილი.

– სააკაშვილს წონა არ აქვსო, მაგრამ ნაცმოძრაობა ხომ არსებობს?

– არსებობს, იარსებოს. გარკვეული რადიკალური ძალები ქვეყანაში ასე ყოველთვის იარსებებენ. მთავარია ერთი რამ, საზოგადოება თავის შეხედულებებში იმდენადაა ჩამოყალიბებული, რომ უმრავლესობა ნაცმოძრაობას უარს ეუბნება. მათ რეაბილიტაციის არანაირი საშუალება არ აქვთ.

ახლა ე.წ. ბრენდის გამოყენებას ცდილობენ, ერთ მხარეს მერაბიშვილი-კეზერაშვილი ექაჩება, მეორე მხარეს – მელია. ახლა ჩვენ ამ პროცესს ვუყურებთ.

– ხაბეიშვილმა თქვა, რომ ახლა გადმოტრიალება უნდა მოვახდინოთო.

– ხაბეიშვილმა ასეთი განცხადება მეათასედ გააკეთა.

– კი, მაგრამ ხელისუფლება თუ არის მზად იმისათვის, რომ ქვეყანას კრიტიკული პროცესები ააცილოს?

– კრიტიკულ პროცესებს კრიტიკული სიტუაცია სჭირდება. ლევან ხაბეიშვილმა თქვა, რევოლუციას მოვაწყობო და ეს წარმოუდგენელია. საქართველოში რევოლუციური სიტუაცია რომ იყოს და მათ რამე შეეძლოთ, აქამდე რევოლუციას ბევრჯერ მოაწყობდნენ, არც სინდისი შეუშლიდათ ხელს, არც – მორალი.

საქართველოში კრიტიკული სიტუაცია არ არის. უფრო მეტად სტაბილური პოლიტიკური ვითარებაა. ზოგ-ზოგიერთ რადიკალურ ქმედებებს თუ არ ჩავთვლით (ანუ მცდელობას, რომ აქ სიტუაცია დაძაბონ), ვერანაირი კრიტიკული ვნებათაღელვა ვერ მოხდება. დამთავრებული თემაა.

– სამაგიეროდ, ნაცმოძრაობის შიგნით არის კრიტიკული სიტუაცია.

– კრიტიკული სიტუაცია კი არა, ერთმანეთს დანაპირად ვერ იტანენ, იმდენად მძიმე მდგომარეობაა. ჟორიკა რურუა გამოვიდა და ვანო მერაბიშვილი დაადანაშაულა. ვანო მერაბიშვილი უცხოელებს რომ ხვდებოდა, ომის დაწყებას სააკაშვილს აბრალებდაო. ამავდროულად, დიდი ალბათობით, ვანო მერაბიშვილი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდაო, ანუ ჟორიკა რურუამ კონკრეტული კარტები გახსნა, რომელზეც მე, არაერთი ჩემი თანამებრძოლი და მათი მოწინააღმდეგე ამაზე საუბრობდა.

რურუამ ფაქტის კონსტატაცია მოახდინა. თუ ვანო მერაბიშვილი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, იმის გათვალისწინებით, რომ ვანო მერაბიშვილი ნაცების დროს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო, ე.ი. იმდროინდელი მთავრობა და ნაცმოძრაობა რუსეთთან პოლიტკორექტულობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ახალი არაფერი უთქვამთ, უბრალოდ, ჟორიკა რურუამ დაადასტურა.

– შეიძლება კიდევ გავხდეთ მოწმე ახალი ურთიერთბრალდებებისა და ახალი ფაქტების გამომზეურებისა?

– გამორიცხული არ არის. ალბათ, ერთმანეთს უფრო მეტად დაჭამენ.

– ნაცმოძრაობაში ე.წ. არჩევნების დასრულების შემდეგ რას ელოდებით? ფაქტია, რომ ვიღაც დამარცხდება.

– ნაგავს გარშემო როგორც უნდა შემოვუაროთ, სიმყრალე და სუნი არსად გაქრება. აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ხაბეიშვილი იქნება, მელია, ვანო მერაბიშვილი თუ კეზერაშვილი, მნიშვნელობა არ აქვს, ისინი ბუნებას არ შეიცვლიან. მათი ბუნება რადიკალური ხასიათისაა.

– ნაცმოძრაობის შიგნით გამოკვეთილი ჯგუფები, შიდა არჩევნების შემდეგ, ისევ ერთად იქნებიან?

– ნაცმოძრაობაში იქნებიან თუ არა, ამ შემთხვევაში მათ ყოფასა და განვითარებას პოლიტიკური წონა არ აქვს. მელია და ხაბეიშვილი ერთად იქნებიან, ერთად ჩაატარებენ ბრიფინგს თუ არა, ეს არაფერს ცვლის. ზოგი რადიკალურ ჯგუფს შეუერთდება. გადალაგდებიან, ზოგი სხვა რადიკალურ ჯგუფს, ზოგი – პოლიტიკიდან გავა, ზოგი – შეუერთდება. ამით არაფერი იცვლება.

– ნაცმოძრაობა გაიყოფა?

– ისედაც გაყოფილია. მეტი რაღა უნდა იყოს. ახლა იმის მცდელობაა, მარტივ მამრავლებად დაშლილ ნაცმოძრაობას ჯიბეში ვინ ჩაიდებს. მცდელობა აქვს კეზერაშვილ-მერაბიშვილის კლანს და მელიას.

– ევროკავშირის ელჩმა განაცხადა, რომ სააკაშვილის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებს ეცნობიან და სიტუაციას ყურადღებით აკვირდებიან. ამ განცხადებაზე თქვენ რას იტყვით?

– ერთ-ერთი დიპლომატიური მანევრია. ელჩს კითხვას უსვამენ, ის კი ამბობს, რომ აკვირდებიან. დეგნანიც ამას ამბობს. ყველა ამბობს, რომ აკვირდება. დააკვირდნენ. სააკაშვილი ახლა ლუქსპალატაში იმყოფება და 24-საათიანი სამედიცინო დაკვირვების ქვეშაა. არც საჭმელი აკლია და არც – სასმელი.

თუ სააკაშვილს ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს, საკუთარ ხასიათს და თავის თავს უნდა დააბრალოს.

უბედური შემთხვევა თბილისში — ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანს, სავარაუდოდ, დენმა დაარტყა და ადგილზე დაიღუპა

ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანს, სავარაუდოდ, დენმა დაარტყა და ადგილზე დაიღუპა. როგორც თვითმხილველებმა „მთავარი არხის“ ვებგვერდს მიაწოდეს ინფორმაცია, დაღუპული თელასის წარმომადგენელია, რომელიც ადგილზე, სავარაუდოდ, ელექტროსამუშაოებს აწარმოებდა. მათივე ინფორმაციით, ტერიტორიაზე მშენებლობა მიმდინარეობს და იქ ელექტროსადგურია დამონტაჟებული. დამატებითი დეტალები მომხდარის შესახებ უცნობია.

მშობლების მკვლელობაში ბრალდებული: „მედავებიან, რომ დედაჩემი ლოგინშია მოკლული და მერეა გადმოსვენებული იატაკზე“

– მედავებიან, რომ დედაჩემი ლოგინშია მოკლული და მერეა გადმოსვენებული იატაკზე, ლოგინში სისხლი არაა აღმოჩენილი და თუ მე გადმოვასვენე, დედაჩემზე ჩემი კვალი არაა. რით ახსნით ამას? – ამის შესახებ მშობლების მკვლელობაში ბრალდებულმა ყოფილმა პოლიციელმა გიორგი ბეროზაშვილმა საკუთარ საბოლოო სიტყვაში განაცხადა.

სასტიკ დანაშაულში ბრალდებული მოსამართლეს 20 წუთის განმავლობაში არწმუნებდა, რომ მშობლები მას არ მოუკლავს. უფრო მეტიც, ბეროზაშვილს კითხვები გამოძიების მისამართით თავად ჰქონდა.

– მეც და ჩემი დაც ავედით სახლში და მალევე გამოგვიყვანეს პოლიციელებმა შემთხვევის ადგილიდან. თუ არაფერი უსინდისობა არ აქვთ პოლიციელებს ჩადენილი, ჩემმა დამ დაკითხვისას განაცხადა, რომ პოლიციელებმა მას ტელეფონი გამოართვევინეს, როცა გადაღება დაიწყო. რაში უშლიდა ხელს ეს საგამოძიებო პროცესს? თუ არაფერი ჰქონდათ „ნამაიმუნარი“, გადაღებაზე დაერთოთ ნება, ან თავად გადაეღოთ. რატომ გაჩნდა აგრესია პოლიციის მხრიდან ჩემსა და თამარ ბეროზაშვილს შორის და არა ნინო ბეროზაშვილის მიმართ? ბოლოს თამარი ბინაში ვნახე, ვაზისუბნის პოლიციაში ნინო ვნახე, სადაც მან დააფიქსირა, რომ დავინახე, გიორგიმ პოლიციელებს როგორ გადასცა „მერსედესის“ გასაღებიო. თურმე, კახა მურადაშვილის ჩვენებით, შემთხვევით გადავაწყდი მას. ლეგენდა და სასწაული...

ნერწყვის აღება მოხდა ქალაქის სამმართველოში, პოლიციელებს 5 საათი ჰქონდათ ნერწყვის მანიპულაცია მოეხდინათ ნებისმიერ ნივთზე, თან მანამდე მანქანის გასაღები პოლიციელებისთვის მიცემული მქონდა. ექსპერტიზის დასკვნას მინდა შევეხო, ბენზინის კვალი იყო მთელ სახლში აღმოჩენილი, თუმცა ბენზინის კვალი არც ჩემ ტანსაცმელზე და არც სხეულზე არ არის აღმოჩენილი. 2 იარაღზე მედავებიან, დენთის კვალი არ არის არც ჩემ ხელზე და არც ჩემ სახეზე.

მანქანაში აღმოჩენილ ოქროულობაზე მინდა ვთქვა, რატომ არ ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა? აღმოჩნდა სადმე ჩემი კვალი? ტანსაცმელი მოაქვს პროკურატურას აქ და კედები სულ სხვა ფერისაა, კადრებში ჩანს სხვა ფერი, ჯადოქრობა მოხდა რამე? თუ ექსპერტებს გადავუხადე ფული და ჩაანაცვლეს? მე განვაცხადე, რომ მამაჩემს სახლში გაფორმებულთან ერთად რამდენიმე გაუფორმებელი იარაღი ჰქონდა. პროკურორს მინდა ვკითხო, იცით რისი ვაზნებია ეს? მედავებიან, რომ დედაჩემი ლოგინშია მოკლული და მერეა გადმოსვენებული იატაკზე, ლოგინში სისხლი არაა აღმოჩენილი და მე თუ გადმოვასვენე, დედაჩემზე ჩემი კვალი არაა. რით ახსნით ამას? თითქოს, მე ფინანსური პრობლემები მქონდა თამაშის გამო, მერე თქვეს, სესხის გამოო.

წლის განმავლობაში 100.000 ბრუნვა მქონდა. მედავებიან, თითქოს თანხა მოვპარე მამაჩემს, ჩემმა დებმაც თქვეს, რა თანხაც უნდოდა, ნებისმიერ დროს სთხოვდა და აიღებდაო. პოლიციელის ხელფასი 1.400 ლარია, მამაჩემი მაძლევდა ფულს, როცა მჭირდებოდა. ჩემმა დებმაც განაცხადეს და მეც, მამაჩემზე არაერთხელ მოხდა თავდასხმა, ადგილი არ ჰქონდა, სადაც ტყვია მოხვედრილი არ ჰქონია. მის წარსულზე არ ვლაპარაკობ, პროკურორმა არ იცის, კრიმინალური დაპირისპირების დროს ერთ-ერთი ბიძა მომიკლეს.

თქვენო ღირსებავ, დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია, როცა სამსჯელოდ გახვალთ, იმედი მაქვს, ობიექტურად შეაფასებთ ჩემ ნათქვამსაც, მოწმეებმა რაც თქვეს და იმ ფაქტებსაც, რაც მე ვთქვი, – განაცხადა ბეროზაშვილმა.

აღნიშნულის შემდეგ მოსამართლე განაჩენის გამოსატანად სათათბიროდ გავიდა.

განაჩენი 23 იანვარს, 10:30 საათზე გამოცხადდება.

ცნობისთვის, ვაზისუბანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში მიმდინარე წლის 27 აპრილს ხანძარი მოხდა, რომელსაც წინ მკვლელობა უძღოდა. 30 წლის გიორგი ბეროზაშვილმა მძინარე მშობლები ჯერ დახოცა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა. ბეროზაშვილის მშობლების – ზაზა ბეროზაშვილისა და ლალი თავაძის ცხედრებს, რომლებიც ხანძრის შემდეგ იპოვეს, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდათ. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ყაჩაღობის ინსცენირება მოახდინა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა და მიიმალა. გიორგი ბეროზაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებასა და განზრახ მკვლელობას უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის ორი წევრის მიმართ გულისხმობს. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ევროპულმა სასამართლომ 5 ივლისის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ცნობით, 17 იანვარს ევროპულმა სასამართლომ 5 ივლისის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. სარჩელი საია-მ მედიის 16 წარმომადგენლის სახელით გაგზავნა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საჩივრის გაგზავნიდან (2022 წლის 4 ნოემბერი) არსებითი განხილვის ეტაპის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ საკმაოდ შემჭიდროებულ დროში მოხდა.

– საჩივარში საია დავობს, რომ ხელისუფლებამ 2021 წლის 05 ივლისს ვერ მოახერხა ძალადობის თავიდან არიდება და შემდგომ მომხდარზე შესაბამისი რეაგირება, კერძოდ, სხვა ელემენტებს, შორის, სადავოდ არის გამხდარი 2021 წლის 05 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილი ოპერაციისა და შემდგომ წარმოებული გამოძიების ეფექტიანობა, განსაკუთრებით სიძულვილის ჯგუფების ლიდერების/ორგანიზატორების პასუხისმგებლობის გამოკვეთის კუთხით. ამასთან საჩივარში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მაღალი თანამდებობის პირთა მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა 05 ივლისს განვითარებულ მოვლენებზე კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა. ამასთან, მომჩივნები, რომლებიც ძალადობას დაექვემდებარნენ, დავობენ, რომ ისინი დაზარალდნენ იმის გამო, რომ არიან მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლები და ან ისინი ასოცირებულნი იყვნენ ჰომოფობიური ჯგუფების მიერ ლგბტ თემთან, – აღნიშნულია განცხადებაში. ევროპულმა სასამართლომ საჩივარში სადავოდ გამხდარ ყველა მუხლთან დაკავშირებით დაუსვა შეკითხვა სახელმწიფოს, კერძოდ, არსებითი განხილვა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებთან დაკავშირებით დაიწყო. სასამართლომ პასუხის წარმოსადგენად ვადად სახელმწიფოს 2023 წლის 09 მაისი განუსაზღვრა.

ლაშა ფურცხვანიძე: „მესმის, რომ თქვენ ვერ გამათავისუფლებთ, ჩემი თხოვნაა, დანარჩენ ადამიანებს შეუცვალეთ აღკვეთის ღონისძიება“

თბილისის საქალაქო სასამართლოში „ვაკის პარკში“ მომხდარ ტრაგედიაზე პროცესი იმართება. სხდომას ბრალდებულებიც ესწრებიან.

ერთ-ერთმა ბრალდებულმა, კომპანია „გრინსერვის პლუსის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა ლაშა ფურცხვანიძემ მოსამართლეს მიმართა:

– პატივცემულო მოსამართლე, მე მესმის, რომ თქვენ არა კი არა, ვერ გამათავისუფლებთ და ვერ შემიფარდებთ სხვა ღონისძიებას, მე ამაში დარწმუნებული ვარ. ჩემი ერთადერთი თხოვნაა – დანარჩენ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენნაირად არანაირი დანაშაული არ მიუძღვით და ჩემ შემთხვევაში, მე ღმერთის წინაშე ნამდვილად არ ვარ დამნაშავე, გთხოვთ, ამ ადამიანებს შეუცვალეთ აღკვეთის ღონისძიება. მეტი არაფერი მინდა, – მიმართა ფურცხვანიძემ მოსამართლეს.

ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმის პროკურორი: „არ არის გამორიცხული, რომ ბრალდებულთა წრე გაფართოვდეს“

ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმის პროკურორი, არჩილ ტყეშელაშვილი არ გამორიცხავს, რომ საქმეზე ბრალდებულთა წრე გაფართოვდეს. აღნიშნულის შესახებ პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი განმარტებით, საქმეში ბრალდებისთვის საკმარისი მტკიცებულებები დევს.

– რაც შეეხება წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შუამდგომლობას, საქმეზე დანიშნულია არაერთი ექსპერტიზა, მათ შორის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებიც მოსულია, ასევე საინჟინრო-ტექნიკური, შრომის უსაფრთხოების ექსპერტიზის. აღნიშნულ დასკვნებს შესწავლისთვის გარკვეული დრო სჭირდება. აღნიშნული მტკიცებულებები ზეგავლენას მოახდენს შემდგომში ბრალდების დამძიმების საკითხზე. რაც შეეხება დღევანდელ მოცემულობას და ბრალდების დადგენილებას, რომლებიც წარდგენილი აქვთ ბრალდებულებს, არის დასაბუთებული ვარაუდის საკმარისი სტანდარტი, არაერთი მტკიცებულებაა, მათ შორის, შუალედური ექსპერტიზის დასკვნები, მოწმეთა ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები. შესაბამისად, საკმარისი მტკიცებულებები ბრალდებისთვის, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

პროკურორის თქმით, ექსპერტიზის პასუხები გახდება საფუძველი იმისა, რომ ბრალდების მხარემ გადაჭრით თქვას, თუ რა მუხლითა და კვალიფიკაციით შეიძლება დაზუსტდეს ბრალი.

– რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ბრალდებულთა წრე გაფართოვდეს. ექსპერტიზები საკმაოდ მოცულობითია და დასკვნები ზეგავლენას მოახდენენ სხვადასხვა პირის პასუხისმგებლობის საკითხზე. ხოლო ის განცხადებები, რაც ბრალდებულმა {ლაშა ფურცხვანიძემ} წინა სხდომაზე გააკეთა, არის სიცრუე და, რა თქმა უნდა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, – აღნიშნა პროკურორმა.

ცნობისთვის, 18 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლო ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე აღკვეთის ღონისძიების დატოვების მიზანშეწონილობას განიხილავს.

შეგახსენებთ, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე 9 პირი დააკავეს. დაკავებულთა შორის არიან კომპანია „გრინსერვის პლუსის“ ხელმძღვანელი ლაშა ფურცხვანიძე და თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგაშვილი.

ლაშა ფურცხვანიძეს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს ედავება, რაც გულისხმობს გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. მას ასევე ედავებიან ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებას.

რაც შეეხება თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგაშვილს, მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ედება, რაც სამსახურებრივ გულგრილობას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ასევე, დაკავებულია შპს „გრინსერვის+“-ის საქმის მწარმოებელი – ბ.მ. და შპს „ნიუ მეტალ დიზაინის“ წარმომადგენელი – ლ.ჭ. მათ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან, რაც გულისხმობს გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. „გრინსერვის +“-ის კიდევ ერთ თანამშრომელს – დ.კ.-ს კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ედება ბრალი, რაც ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში წაქეზებას გულისხმობს. დაკავებული არიან ასევე, შპს „მშენექსპერტის“ დირექტორი – ნ.ქ. და ამავე კომპანიის ინსპექტორი – დავით თუშიშვილი. მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან, რაც გულისხმობს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღებას. ასევე, დაკავებულია 2 კერძო ელექტროშემდუღებელი – გ.გ. და ვ. გ. მათ ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ასევე შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში, შადრევანში სამი ბავშვი ბურთის ამოსატანად ჩავიდა, რა დროსაც მათ დენმა დაარტყა. ბავშვები კლინიკაში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა. ერთ-ერთი ბავშვის, 13 წლის გოგონას, მარიტა მეფარიშვილის მდგომარეობა თავიდანვე მძიმე იყო და ის ხეჩინაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა.

კალეიდოსკოპი

მოზარდებმა მოკრივის ბინის გაქურდვა სცადეს და თავს ძლივს უშველეს

ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტში პროფესიონალმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ ორი მოზარდი, რომლებიც მისი ბინის გაქურდვას ცდილობდნენ, იძულებული გახადა, თავი გაქცევით გადაერჩინათ. დილით ადრე კეისი კასუელი საკუთარ სახლში იმყოფებოდა, როდესაც ქუჩაში ორი ახალგაზრდა შენიშნა, რომლებიც კაპიუშონებიან ქურთუკებში იყვნენ გამოწყობილნი და საეჭვოდ იქცეოდნენ. სათვალთვალო კამერის ჩანაწერში ჩანს, რომ მათ სახლის პატრონის მანქანას შემოუარეს და ღობის შიგნით გადაიხედეს. კასუელმა ჩათვალა, რომ მათ მისი სახლი შეარჩიეს გასაძარცვად. ის, სანახევროდ ჩაცმული, ლანძღვა-გინებით გავარდა ქუჩაში და საეჭვო მოზარდებს გაეკიდა. მათ მოკრივეს ძლივს გაასწრეს.

– კეისის ადგილას ყველა ასევე მოიქცეოდა, – დაწერა სოციალურ ქსელში კასუელის კოლეგამ და მეგობარმა დემსი მაკკინმა, – აი, ასე უნდა მოექცე იმ ვირთხებს, რომლებიც შენს სახლში შემოჭრას ცდილობენ. მისი თქმით, ერთ-ერთი მოზარდი, მეორესთან შედარებით, ასაკით უფროსი იყო და ხელში დანა ეჭირა.

პატარძალი საკუთარი ქორწილის დღეს გარდაიცვალა



ქალაქ ლონდონის მკვიდრი, 33 წლის ნადია ჯოზეფი, მოულოდნელად საკუთარი ქორწილის დღეს გარდაიცვალა.

ქალი ათი წლის შვილთან ერთად ტრინიდადსა და ტობაგოში თავის საქმრო დევონ გოსინთან ჩავიდა, სადაც უნდა შემდგარიყო მათი საქორწინო ცერემონია. ქალმა საქმროს ქვეყანაში რამდენიმე კვირა დაჰყო. ქორწილის წინა ღამეს ჯოზეფსა და გოსინს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ. მამაკაცის თქმით, ქალი ვერ იძინებდა და მან იფიქრა, რომ ის, უბრალოდ, მნიშვნელოვანი მოვლენის წინ ნერვიულობდა. გარკვეული დროის შემდეგ ქალმა დაძინება მოახერხა. რამდენიმე საათის შემდეგ გოსინმა გაიღვიძა და საცოლეს აკოცა. ის, ჩვეულებრივ, ასე აღვიძებდა მას, მაგრამ ამჯერად ქალს კოცნაზე რეაგირება არ მოუხდენია. მამაკაცი მიხვდა, რომ ჯოზეფი უგონოდ იყო და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. პარამედიკოსები 45 წუთის განმავლობაში ცდილობდნენ ქალის რეანიმირებას, მაგრამ – უშედეგოდ. ის ძილში გარდაიცვალა ღვიძლის დაავადების გამო, რის შესახებაც მისმა ნათესავებმა არაფერი იცოდნენ. ჯოზეფის დამ იცოდა, რომ მას წარსულში ღვიძლისა და თირკმლების პრობლემა ჰქონდა, თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ სრულად გამოჯანმრთელდა. ექიმების თქმით, ქალს ღვიძლი ძალიან ჰქონდა დაზიანებული და, მისთვის დროული სამედიცინო დახმარებაც რომ გაეწიათ, ორ კვირაში მაინც დაიღუპებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რამ განაპირობა საკადრო ცვლილებები რუსეთის არმიაში?!

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ოკუპანტების რიგებში დანაკარგმა უკვე 17.000-ს გადააჭარბა. რუსებმა სოლედარის აღება ვერ შეძლეს. ქალაქი მთლიანად დაინგრა. უკრაინელები რუსებს ქვემეხებს უშენენ, რამაც ოკუპანტების რიგებში ახალი დანაკარგები განაპირობა.

ამრიგად, რუსეთი ჩიხში შევიდა. უკრაინაში რუსული საოკუპაციო ჯარების სარდალმა, გენერალმა სუროვიკინმა პუტინს უთხრა, რომ ხერსონის დატოვება დროებითია და ეს რუსებს საშუალებას მისცემს ძალები გამოათავისუფლოს და დონბასი დაიკავოს. სუროვიკინი იფიცებოდა, რომ უკვე ახალი წლისათვის მთელ დონბასზე რუსული დროშა აღიმართებოდა. გენერალი დანაპირების შესრულებას მართლაც პატიოსნად შეეცადა, მაგრამ ამაოდ. სოლედარის მისადგომებთან რუსულმა არმიამ მარცხი განიცადა. მაშინ პუტინმა საქმეში თავისი ფავორიტი და კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ შეფი პრიგოჟინი ჩართო.

პრიგოჟინი ტყავიდან ძვრებოდა. სოლედარის აღება მისთვის გავლენის განმტკიცებას ნიშნავდა. ვაგნერის შეფს მხარს უჭერდა ჩეჩნეთის მარიონეტული, პრორუსული მთავრობის ხელმძღვანელი კადიროვი. რუსულ მედიაში უკვე გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ სოლედარის აღების შემდეგ რუსეთში ახალი საკადრო ცვლილებები დაიწყებოდა. პრემიერის სავარძელს პრიგოჟინი დაიკავებდა, რამზან კადიროვი კი თავდაცვის მინისტრი გახდებოდა.

პრიგოჟინი მართლაც გულმოდგინედ მოემზადა. მან მიაღწია იმას, რომ საპატიმროებიდან დიდი ოდენობით პატიმრები გაათავისუფლეს და სოლედართან გადასხეს. ეს ხალხი სახელდახელოდ გაწვრთნეს, დაურიგეს იარაღი და შეტევაზე გარეკეს. უკან მათ კადიროველები მიჰყვებოდნენ და ზურგში ესროდნენ ყველას, ვინც ბრძოლის ველს თვითნებურად დატოვებდა. მიუხედავად ამისა, სოლედარის აღება მაინც ვერ მოხერხდა. პრიგოჟინიც იძულებული გახდა, დახმარებისათვის სამხედროებისათვის მიემართა, თუმცა ცოტა ხნით ადრე მათ მკაცრად აკრიტიკებდა.

თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ თხოვნა შეიწყნარა. მან სოლედარსა და ბახმუტთან მედესანტეები გადასხა. ამანაც ვერ გაამართლა. ოკუპანტებმა ვერც სოლედარის, ვერც მის მახლობლად მდებარე ბახმუტის აღება ვერ შეძლეს. ჩაიშალა სოლედარსა და ბახმუტთან დისლოცირებული უკრაინული ნაწილების კოტიოლში მოქცევის რუსული გეგმა. ოკუპანტების რიგებში დანაკარგმა კი 117.000-ს გადააჭარბა.

ოკუპანტებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. პრიგოჟინი აშკარად აცხადებდა, რომ აუცილებელია რუსეთში მასობრივი რეპრესიების დაწყება, იმის ანალოგიურად, როგორც ეს 1937 წელს მოხდა.



აშშ-ის პრეზიდენტი გერმანიის კანცლერს დაუკავშირდა

აშშ-ის პრეზიდენტის ბაიდენის და გერმანიის კანცლერის შოლცის სატელეფონო საუბარი შედგა. მისი ძირითადი თემა უკრაინისათვის დახმარების გაგრძელება იყო.

საომარი მოქმედებების ეპიცენტრი კვლავაც დონბასია

უკრაინაში ბრძოლები გრძელდება. საომარი მოქმედებების ეპიცენტრი კვლავაც დონბასია. ყველაზე დაძაბული მდგომარეობა ისევ სოლედარსა და ბახმუტთანაა.

სოლედართან რუსმა ოკუპანტებმა სადგურ სოლისაკენ გარღვევა მოახერხეს. აქ მათ ფოტოც გადაიღეს, რაც სოციალური ქსელებით გაავრცელეს, მაგრამ გამარჯვების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. უკრაინელთა კონტრშეტევის შედეგად რუსმა ოკუპანტებმა უკან დაიხიეს.

სასტიკი ბრძოლებია ბახმუტთანაც. რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა აეღოთ ბახმუტი, მარცხით დამთავრდა. უკრაინელი ექსპერტის სვისტუნის ცნობით, რუსები ბახმუტის ალყაში მოქცევას შეეცდებიან. მსგავსი ვითარებაა ავდეევკასა და მარინკასთან. იქაც რუსები ამ ქალაქების ალყაში მოქცევას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ.

განსხვავებული სიტუაციაა სვატოვოსა და კრემენოესთან. უკრაინული არმია კრემენოეს ცენტრში შეიჭრა. პასუხად რუსებმა კრემენოეს დაბომბვები გააძლიერეს. შედეგად უკრაინელებმა კვლავ ქალაქის გარეუბნებისაკენ დაიხიეს უკან. ბრძოლა გრძელდება.

შეტაკებებია უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც. რუსებმა დაბომბეს ხერსონი, ზაპოროჟიე, ნიკოპოლი. შედეგად დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.121, არტილერია – 2.104, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 220, თვითმფრინავები – 286, ვერტმფრენები – 276.

განადგურებულია 117.770 ოკუპანტი

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ადვოკატმა კლიენტების ფულით ნუდისტურ პლაჟზე დასვენება მოიწყო

ადვოკატმა ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდიდან კლიენტების ფული ცხოვრების ფუფუნებით მოწყობაში გაანიავა. ქალი, სხვა რაღაცებთან ერთად, მიტაცებულ თანხებს ძვირფასი სიგარების შეძენაში, ნუდისტების კურორტზე დასვენებასა და აფრიკაში საფარიზე დროის გატარებაში ხარჯავდა.

57 წლის ლორი ე დევენიმ, საერთო ჯამში, 3,8 მილიონი დოლარი მიითვისა. ფული ეკუთვნოდათ იმ კლიენტებს, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდნენ ან სერიოზული დაზიანებები მიიღეს. მათ მოსატყუებლად ქალი ცრუობდა და დაზღვევის ქვითრებს აყალბებდა. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი საარსებო საშუალებისა და სამედიცინო მომსახურების ანგარიშების გასასტუმრებელი სახსრების გარეშე დარჩა.

ადვოკატმა ქალმა 173 ათასი დოლარი აფრიკაში საფარიზე დახარჯა, 50 ათას დოლარად შეიძინა ავტომობილი კადილაკი, 60 ათასი დოლარი დაუჯდა ნუდისტურ კურორტზე დასვენება. 150 ათასი დოლარი დევენმა ავიაბილეთებში დახარჯა, 125 ათასი დოლარი – საკუთარი სახლის შესაკეთებლად და 195 ათასი – იპოთეკის დაფარვაში. მის მიერ შეძენილი სიგარების ფასმა 220 ათასი დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, 35 ათასი დოლარი დახარჯა მის მიერვე ნადირობის დროს დახოცილი ცხოველების ფიტულების დამზადებაზე.

ადვოკატ ქალს თაღლითობის, დამამძიმებელ გარემოებაში პირადი თანხების მოპარვის, ფულის გათეთრებისა და ყალბის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ბრალდება წაუყენეს. სასამართლომ მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა და 135 დაზარალებულისთვის კომპენსაციის სახით 4,5 მილიონი დოლარის გადახდა მიუსაჯა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფავორიტია

ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონშიც მონაწილეობს და კვლავ მაყურებლისა და ჟიურის ფავორიტია.

სალომემ და მისმა მეწყვილემ, ფეხბურთელმა პოლ ბროგანმა მეორე საკონკურსო ტურში „სამბა“ იცეკვეს და ჟიურის დადებითი კომენტარები და დამსწრე საზოგადოების უწყვეტი ტაში დაიმსახურეს.

ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილემ თანამდებობა დატოვა

ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილემ თეონა ჯაყელმა დაკავებული თანამდებობა დატოვა. ინფორმაცია გვერდმა „ხელოვნების მუზეუმისთვის“ გაავრცელა.

ამ პოსტზე თეონა ჯაყელი კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა დანიშნა. სწორედ თეონა ჯაყელი აწერს ხელს გასულ წელს ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებული წამყვანი მეცნიერების კომპეტენციის შეფასების ფურცელს, სადაც მათი კომპეტენცია მინიმალური ქულითაა შეფასებული. სწორედ ეს დოკუმენტი გახდა მეცნიერების მუზეუმიდან გათავისუფლების საფუძველი.

გათავისუფლებულთა შორის იყვნენ ანა მგელაძე, ნინო ჯაყელი, გიორგი ბიძინაშვილი, მაია პატარიძე, ნიკოლოზ წიქარიძე, ნათია ხულუზაური, გიორგი ფარცხალაძე და სხვები. თეონა ჯაყელი წლების მანძილზე მუშაობდა მუზეუმში და იცნობდა გათავისუფლებულებს, იცოდა მათი საქმიანობა და პროფესიული შესაძლებლობები:

– საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიცია დავტოვე ჩემი პროფესიული შეხედულებების გათვალისწინებით. არ ვაპირებ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას, მით უმეტეს, დაუშვებლად მიმაჩნია შიდა დოკუმენტაციის საჯარო სივრცეში გამოტანა და არასწორი ინტერპრეტაციები!

წარმატებას ვუსურვებ ჩემს კოლეგებს, პროფესიონალთა გუნდს და ახალ მენეჯმენტს მუზეუმის განვითარების საქმეში, – განაცხადა თეონა ჯაყელმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

გურამ კაშია: „მშიერი ვარ, მოგებები მინდა“

სლოვაკური სლოვანი „ქართულ“ გუნდად იქცა. ჩვენი ეროვნული ლიგის ყოფილმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა სლოვანში საქართველოს ნაკრების ყოფილი და ახლანდელი კაპიტნები, ჯაბა კანკავა და გურამ კაშია აიყვანა, რასაც შემდეგ გიორგი ჩაკვეტაძის იჯარა მოჰყვა.

ბრატისლავური გუნდი სეზონის განახლებისთვის ემზადება. სლოვანის ვებ-გვერდზე გურამ კაშიას მცირე ინტერვიუ გამოჩნდა.

გურამ კაშია:

– თავისუფალი დრო ძირითადად ოჯახთან ერთად გავატარე, ცოტა ვიმოგზაურე კიდეც... ოჯახთან ერთად ბედნიერი ვიყავი, მაგრამ გადის 2-3 კვირა და ვარჯიში გენატრება. ფეხბურთს ისე არ ვუყურებ, როგორც სამუშაოს. ეს ჩემთვის დიდი გატაცებაა. ველოდები, როდის განახლდება სეზონი და როდის შევალთ სათამაშო რიტმში...

როცა ტყეში დარბიხარ, ეს განსაკუთრებული გამოწვევაა. ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც კარგად მაგონდება. ზამთრის მოსამზადებელი პერიოდით ვერ მოიხიბლები, რადგან ორჯერ მინდორზე ვვარჯიშობთ, ერთხელ – დარბაზში. თუმცა, ვიცით, რომ კარგად მომზადება უმნიშვნელოვანესია, რათა მთელი სეზონის განმავლობაში კარგ კონდიციებში ვიყოთ... შეიძლება, ამ დროს ჩვენ არ ვართ კომფორტის ზონაში, მაგრამ ეს აუცილებელია. ჩვენი დიდი სურვილია, სეზონის დასკვნითი ნაწილი კარგად ჩავატაროთ და დასახულ მიზანს მივაღწიოთ...

ასაკში რაც უფრო შედიხარ, მით მეტი უნდა იმუშაო. ხარისხიანი ძილი და ცხოვრების ჯანსაღი წესი აუცილებელია. ახლა 35 წლის ვარ და უფრო მეტი მუშაობა მიწევს, ვიდრე 12-13 წლის წინ. მთელი გუნდი შრომობს თავდაუზოგავად და მიილტვის მიზნისკენ...

ევროთასების შეხვედრებზე გულშემატკივარი სტადიონზე დაბრუნდა. ეს შესანიშნავია და მჯერა, სლოვაკეთის ჩემპიონატის შეხვედრებსაც ბევრი ქომაგი დაესწრება. მათი მხარდაჭერა ჩვენ ძალიან გვჭირდება...

ჯერ კიდევ „მშიერი“ ვარ და მოგება მინდა. დიდი მოტივაცია მაქვს როგორც სლოვანში, ისე საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ბრაკონიერი ნიანგის თავდასხმას ცოცხალი ძლივს გადაურჩა

ნამიბიაში 15 ბავშვის მამა ნიანგის თავდასხმის შედეგად დაზარალდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ის ბრაკონიერად იქნა მიჩნეული, ფულადი კომპენსაცია ვერ მიიღო.

ინციდენტი გასული წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოხდა, როდესაც 47 წლის ლუკას ჩიხინგა ორ მეგობართან ერთად მდინარე ოკავანგოზე თევზის ჭერით იყო დაკავებული.

– ჩვენ მდინარეზე სათევზაოდ წავედით, რათა ახალი წლისთვის სახლში თევზი გვქონოდა, – განაცხადა მამაკაცმა, – რაღაცები დავიჭირეთ, განმეორებით შევედით წყალში, როდესაც ბარძაყში რაღაც ჩამაფრინდა. დავინახე, რომ ეს ნიანგი იყო და ყვირილი მოვრთე მეგობრების გასაფრთხილებლად, შემდეგ კი რეპტილიას შევებრძოლე და, საბედნიეროდ, ვაიძულე, ჩემთვის თავი დაენებებინათ.

მეგობრები ჩიხინგას ხმელეთზე ასვლაში დაეხმარნენ და მის საავადმყოფოში გადასაყვანად ტაქსი გამოიძახეს. ის ამ დრომდე საავადმყოფოში იმყოფება. ნამიბიელი ოჯახის სარჩენად ფულის შოვნას შეშის გაყიდვითა და დამატებით რაიმე საქმიანობით ახერხებს.

ჩიხინგამ დახმარებისთვის ბუნების დაცვისა და ტურიზმის სამინისტროს მიმართა. როგორც სამინისტროს ხელმძღვანელმა რიჩარდ ეინგურმა განაცხადა, მომხდარ ფაქტზე გამოძიება ჩატარდა და გაირკვა, რომ მამაკაცი თევზის საჭერად ბადეს იყენებდა, წელამდე წყალში იდგა და უსაფრთხოების დასაცავად არაფერი გამოუყენებია. ვინაიდან ქვეყანაში ბადით თევზის დაჭერა აკრძალულია, მას ფულადი კომპენსაციის მიღება არ ეკუთვნის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეორი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

არსენალი, სიტი, ლივერპული — კვარაცხელიაზე მოთხოვნა იზრდება

ქართველი ფეხბურთელის, ხვიჩა კვარაცხელიასადმი ინტერესი ინგლისის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბს გაუჩნდა. ბრიტანული მედიის თანახმად, 21 წლის შემტევით ლონდონის არსენალი, მანჩესტერ სიტი და ლივერპული ინტერესდებიან. თუმცა, კვარაცხელიას ინგლისში გადაბარგება დროის ამბავია.

მიკელ არტეტას გაწვრთნილი არსენალი პრემიერლიგას ლიდერობს, მაგრამ მარცხენა ფლანგზე შეტევის გაძლიერება სურს. საამისოდ, მიხაილო მუდრიკის გადაბირებას აპირებდა, მაგრამ ლონდონის ჩელსიმ დაასწრო. ლონდონელთა სამიზნეში ხვიჩა კვარაცხელიაც მოხვდა.

აი, რას წერეს ბრიტანული მედია:

– არსენალს იანვრის სატრანსფერო ფანჯარა არცთუ იდეალური აქვს, რადგან პირველ ორ კვირაში შემადგენლობის გაძლიერება ვერ მოახერხა. მართალია, „მეთოფეები“ ამჟამად პრემიერლიგას ლიდერობენ, რაც მათ ტიტულისთვის ბრძოლაში უპირატესობას აძლევს, მაგრამ გუნდის გაძლიერების სურვილი არსებობს. ლონდონური კლუბისთვის პრიორიტეტული იყო შახტარის გარემარბის, მიხაილო მუდრიკის დამატება, მაგრამ ის ჩელსიში გადავიდა. ახლა სამიზნეები რაფაელ ლეაო (მილანი) და ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი) არიან.

ეს არსენალზე, ახლა სიტის ამბები:

– საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი იტალიურ გუნდში მაგარ სეზონს ატარებს, მისი ნაპოლი კი, დიეგო მარადონას ეპოქის შემდეგ, სკუდეტოს პირველად მოგებისკენ მიიწევს. გუნდში, რომელშიც მრავლად არიან ტალანტები, კვარაცხელია თავისი თამამი სტილითა და ბურთის შთამბეჭდავი ფლობით, გამორჩეულია როგორც სერია ა-ში, ისე – ჩემპიონთა ლიგაში. ვინაიდან ნაპოლიმ კვარა ბათუმის დინამოსგან იაფად შეიძინა, მოსალოდნელია, რომ გაყიდვის შემთხვევაში, მნიშვნელოვან ფინანსურ მოგებას ნახავს. თუმცა, პრემიერლიგის მომხიბვლელობის და მანჩესტერ სიტის დიდი შესაძლებლობების მიუხედავად, კვარაცხელია ღიად აცხადებს, რომ ლუჩანო სპალეტის გაწვრთნილ ნაპოლიში თავს კარგად გრძნობს.

ლივერპულის ინტერესზე კი, იტალიური მედია წერს. ერთია, მერსისაიდელებს მარტო კვარას შეძენა არ სურთ და მათ თვალთახედვის არეში ვიქტორ ოსიმენიც არის.

მედია წერს, რომ ლივერპულს ამ ფეხბურთელების შესაძენად მინიმუმ 200 მილიონი ევროს გამოყოფა მოუწევს. ინგლისური კლუბი ამ საკითხის მოგვარებას ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაში გეგმავს.

– არსენალს კვარაცხელიას შეძენაში ლივერპული შეეცილება. მერსისაიდელები ქართველის თამაშით მოხიბლულები არიან. ხვიჩამ სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და ნაპოლის წარმატებით გამოსვლაში დიდი წვლილი შეიტანა. ნეაპოლელებმა სწორედ კვარას დამსახურებით მოიგეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფი, ხოლო სერია ა-ს სათავეში 9-ქულიანი ჰანდიკაპით უდგას. აღსანიშნავია, რომ წითლებს ვიქტორ ოსიმენის ტრანსფერზე მუშაობაც შესთავაზეს – ნიგერიელმა და ქართველმა ნაპოლის მიერ სერია ა-ში გატანილი 44 გოლიდან მონაწილეობა 29-ში მიიღეს.

მოსალოდნელ ტრანსფერებზე კომენტარი ცნობილმა აგენტმა ფაბრიციო რომანომ გააკეთა:

– ბევრი ჭორი მოვისმინე, არსენალის გულშემატკივრები ლაპარაკობენ რაფა ლეაოსა და კვარაცხელიაზე. 100%-ით შეიძლება თქმა, რომ კვარაცხელია იანვარში ნაპოლის არ დატოვებს, ლეაოს სანაცვლოდ კი, მილანი მხოლოდ გიჟურ წინადადებას დათანხმდება.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელია ნაპოლიში გასულ ზაფხულს ბათუმის დინამოდან 10 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ქართველმა ფეხბურთელმა იტალიაში სადებიუტო სეზონშივე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ყველა ტურნირზე 20 მატჩში უკვე მოასწრო 9 გოლის გატანა და 10 საგოლე პასის გაკეთება.

სერია ა-ში 18 ტურის შემდეგ, ნაპოლი 47 ქულით სატურნირო ცხრილის ლიდერია და უახლოეს მდევარ მილანს 9 ქულით უსწრებს.

სპალეტის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია გასული, სადაც მეტოქედ ფრანკფურტის აინტრახტი ჰყავს.

მეოთხედფინალისტების ნახევარი ცნობილია

საქართველოს თასის გათამაშების ოთხი მეოთხედფინალისტი გაირკვა. სამ წყვილში ფავორიტებად მიჩნეულმა გუნდებმა ოპონენტებს სერიის მეორე მატჩებიც მოუგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ. მეოთხე კი, უთამაშებლად გავიდა.

თსუ-დინამო 91:66

სეჩიის საეთო ანგარიში 185:117

ამ წყვილში ყველაფერი ცნობილი იყო. საკითხავი ის იყო, კიდევ ერთხელ გაანადგურებდა თსუ დასუსტებულ დინამოს თუ დაინდობდა. უნივერსიტეტელებმა 2 ლიდერი – გიორგი ცინცაძე და მიხეილ ბერიშვილი დაასვენეს, რითაც დინამოელებმა „ისარგებლეს“. ლაშა ხაჩიძის გაწვრთნილი გუნდი გაცილებით ძლიერ მეტოქეს 3 პერიოდის განმავლობაში უძალიანდებოდა. პირველი პერიოდი სულად დინამოელებმა მოიგეს, ხოლო დიდ შესვენებაზე მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებოდნენ.

მესამე ათწუთეულის მეორე ნახევრიდან სტუდენტებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს. ძლიერმა მაინც თავისი გაიტანა და დასკვნითი პერიოდების შედეგიანი თამაშის წყალობით თსუ-მ საბოლოოდ 25-ქულიანი გამარჯვება გაიფორმა.

უნივერსიტეტელებს 27 ქულით ჯიმონ ჰენსონმა ულიდერა. 14 ქულა ბექა ბექაურმა მოაგროვა, ხოლო 12 – გუჯა ხვედელიძემ. დინამოში 21 ქულით საუკეთესო იყო ანტონიო ალქორნი. 17 ქულა და 11 მოხსნა ვალერიან წულეისკირმა მოინაგრა.

თსუ-ს მეტოქე მეოთხედფინალში რუსთავი იქნება, რომელმაც მერვედფინალური სერია უბრძოლველად მოიგო, რადგან ა ლიგის წარმომადგენელ აწსუ-ს საშინაო დარბაზმა ტექნიკური გაუმართაობის გამო თამაშს ვერ უმასპინძლა.

ოლიმპი-გთუნი 69:55

სეჩიის საეთო ანგარიში: 167:138

ა ლიგის წევრი, გთუნი მეტად მებრძოლი გუნდია, მაგრამ იმხელა შესაძლებლობა არ გააჩნია, სუპერლიგის ერთ-ერთ წამყვან გუნდს პრობლემები შეუქმნას. გთუნიმ ეს სერიის წინა თამაშში ნაწილობრივ მოახერხა, მაგრამ, მთლიანობაში, დიდი სხვაობით დამარცხდა და თასის გათამაშებას გამოეთიშა. დავით ნოზაძის გუნდის ერთადერთი მიზანი ახლა ა ლიგის მოგება და სუპერლიგის საგზურის მოპოვებაა, რისი შანსიც სტუდენტურ გუნდს აშკარად გააჩნია.

ოლიმპის მწვრთნელმა, დავით როგავამ ეს მატჩი გუნდის ახალგაზრდა წევრების სამოტივაციოდ გამოიყენა. ოლიმპის შემადგენლობაში მყოფმა 12-ვე კალათბურთელმა ითამაშა და დროც მწვრთნელმა მეტ-ნაკლებად თანაბრად გადაანაწილა. პირველი პერიოდი ფრედ, 14:14 დასრულდა, მეორეში ოლიმპელებმა უპირატესობა მოიპოვეს და დიდ შესვენებამდე 7-ქულიანი ლიდერობით მივიდნენ.

თამაშის ბოლომდე გთუნი ინერციით მიჰყვებოდა მეტოქეს, რომელმაც რაც ცოტა დრო რჩებოდა დასრულებამდე, მოედანზე მით უფრო მეტი ახალგაზრდა სათადარიგო შემოჰყავდა.

საბოლოოდ როგავას გაწვრთნილმა გუნდმა 14 ქულით იმარჯვა, რაშიც 14-14-ქულიანი წილი ვლადიმერ თავაქარაშვილმა და ლინტონ ესლაისმა დაიდეს.

ოლიმპი მეოთხედფინალშია და მეტოქეს კავკასია-ტყიბულის ორბის წყვილიდან ელოდება. კავკასიელებს პირველი მატჩი 22 ქულით აქვთ მოგებული.

ქუთაისი-ვერა 92:87

სეჩიის საეთო ანგარიში: 192:157

ამ წყვილშიც ყველაფერი გარკვეული იყო. ქუთაისელებმა სერიის პირველი მატჩი 30 ქულით მოიგეს და ვერელები ფაქტობრივად შეუსრულებელი მისიის წინაშე დააყენეს. თამაში ქუთაისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეს ჭერი დაუზიანდა და იმერული კლუბის თხოვნის საფუძველზე შეხვედრას თბილისის ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა.

ვერამ ღირსეულად იბრძოლა და გამარჯვებასაც იმსახურებდა, მაგრამ ბოლო მომენტში ძალები აღარ ეყო. ლიდერი 7-ჯერ შეიცვალა, ბოლო წუთებამდე თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. ქუთაისელებს რომც წაეგოთ, თასის მეოთხედფინალში მაინც გავიდოდნენ. მხოლოდ 30 ქულაზე მეტით დამარცხების შემთხვევაში რჩებოდნენ განზე, რაც თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე წარმოუდგენელი გახლდათ.

გამარჯვებულ ქუთაისელებს ლუკა მაზიაშვილმა ულიდერა, რომელმაც 29 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. 16 ქულა და 10 მოხსნა ჯარვის რეიმ მიითვალა, ჩედ ფრეიზერის ანგარიშზე კი 14 ქულა, 9 მოხსნა და 8 პასი დაგროვდა. ვერაში 25 ქულით, 11 პასითა და 6 მოხსნით საუკეთესო იყო ლუკა ზაქრაძე. 20 ქულა ბორის თორთლაძემ მოაგროვა. დერიკ ნიქსის ანგარიშზე 17 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა.

ქუთაისის მომდევნო მეტოქე ბათუმისა და მეგას დაპირისპირებაში გამოვლინდება. მეგამ პირველი შეხვედრა ზღვისპირელებს 8 ქულით მოუგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შეჯიბრები

17 იანვარი

ფეხბურთი

აფრიკის ეთა თასი

მოზამბიკი-ლიბია 3:2

ალჟირი-ეთიოპია 1:0

ესპანეთი. სამეფო თასი

სოსიედადი-მალიორკა 1:0

ალავესი-სევილია 0:1

იტალია. თასი

ნაპოლი-კრემონეზე ..... 2:2(4:5პ)

ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-ეუპენი 1:1

ვესტერლო-გენკი 2:3

სტანდარდი-მეხელენი 2:0

შუქურა პრობლემების წინაშე, გულშემატკივრები აქციას აანონსებენ

ქობულეთის შუქურა გასულ სეზონში ლიგა 2-ის გამარჯვებული გახდა და უმაღლეს ლიგაში აღზევდა. თუმცა, ზღვისპირული კლუბი პრობლემების წინაშეა. გუნდი უკვე დატოვა რამდენიმე ფეხბურთელმა, ხოლო ვინც დარჩა, არ ვარჯიშობს. მიზეზად დავალიანება სახელდება.

ამასობაში, შუქურას გულშემატკივრებმა სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელეს და გუნდის გადასარჩენად აქცია დააანონსეს.

– ძვირფასო ქობულეთელებო! მოგეხსენებათ, გუნდის დიდი პრობლემა – შუქურას ფუნქციონირება შეწყვეტილი აქვს. აქამდე ვეცადეთ, გზები გამოვნახეთ, მაგრამ ამაოდ.

ამ ქალაქს აქვს დიდი ისტორია და ყოველთვის გამოვირჩეოდით ჩვენი კუთხის სიყვარულით. ეს გამოიხატება იმ სიყვარულში, რაც გვაკავშირებს ქალაქის მცხოვრებლებს – ერთობა და ქობულეთელობა!

ყველა ქობულეთელს გთხოვთ, პარასკევს, 15:00 საათზე, მობრძანდეთ მშვიდობიან აქციაზე და ქალაქს გვერდით ღირსეულად დავუდგეთ. როცა ჩვენი ძალა და ერთობა იქნება, ეს გუნდი გადარჩება და მომავალ თაობას მოტივაციას არ დავუკარგავთ.

ერთი დღე უნდა გავერთიანდეთ. გთხოვთ, ამ გუნდის გადარჩენაში ყველამ წვლილი შევიტანოთ. უნდა მოხვიდეთ და ქალაქისთვის გადავდგათ ნაბიჯი.

პარასკევს, 20 იანვარს, 15:00 საათზე ქობულეთის მერიის წინ გაიმართება მშვიდობიანი აქცია, რომლის მთავარი მიზანიც ჩვენი ქალაქის გუნდის, შუქურას გადარჩენაა. ნუ დარჩები სახლში, მოდი აქციაზე, რათა ამ ქალაქში არ მოკვდეს ფეხბურთი და გაიზარდოს მომავალი თაობები!

ასევე, ამ აქციის მიზანი მხოლოდ გუნდის გადარჩენა არ იქნება. ჩვენი ერთობით ჩვენს სიყვარულს დავანახებთ იმ ხალხს, ვინც ქალაქს ლაქს სცხებს და ქობულეთელებს მასხრად გვიგდებს!“ – წერია გულშემატკივართა განცხადებაში.

განცხადება გაავრცელა ირაკლი ბერიძემ, რომელიც კლუბის დირექტორის პოსტიდან ცოტა ხნის წინ გადადგა:

– ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ შუქურას ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით რევაზ გოცირიძე მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან აბსურდული მიზეზების გამო გაათავისუფლეს.

თავად განსაჯეთ – გუნდს მოვაგებინეთ ლიგა 2, გადავედით უმაღლეს ლიგაში, ამის შემდეგ ვტოვებ თანამდებობას მე, კლუბის დირექტორი, გამომდინარე იქიდან, რომ კლუბში შექმნილი ვითარება დარჩენის მორალურ უფლებას არ მაძლევდა.

მთავარი მწვრთნელი სრულად იზიარებდა ჩემს პოზიციას. ამის გამო ისჯება კაცი, რომელმაც გუნდს ეროვნული ლიგის საგზური მოაპოვებინა. რეზო, მადლობა შუქურასთვის გაწეული საქმიანობისთვის! ჩვენ შუქურას დროებით ჩამოგვაშორეს. ეს საქმე ასე არ დასრულდება, პირადად ვიღებ პასუხისმგებლობას.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოხვოხდი ბ



შვეულად: 1. ესპანელი ფერმწერი; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 3. ხის, ჩასაბერი ქართული ხალხური მუსიკალური საკრავი; 4. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 5. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 6. ბერძნული ცეკვა; 11. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 13. სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. კომიკური ოპერების სახელწოდება ავსტრიასა და გერმანიაში; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. მაროკოს დედაქალაქი; 18. მსუბუქი ავტომობილის ძარის ერთ-ერთი ტიპი; 19. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 5. მეფის სიგელი; 8. უმაღლესი სასულიერო წოდება ქართულ ეკლესიაში; 9. ალექსანდრე მაკედონელის კარზე მოღვაწე ძველი ბერძენი მოქანდაკე; 10. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. გამდნარი თუჯიდან, ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 16. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. აშშ-ში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 21. ელექტროობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. ბერძნული ყველი; 24. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაიდენი; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. პლესეცკი; 12. ესპანეთი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. წალვერი; 19. აზია; 20. ვაჩა.

თარაზულად: 5. კარაკასი; 6. ჯვრისწერა; 9. მელასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. ასაჰი; 15. დომინო; 18. თერძი; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. კახიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. კარაკასი; 4. ვაზარი; 5. მაღრაძე; 6. ვალონია; 11. ანოდი; 13. წალკოტი; 14. ზეთისხილი; 15. ბუდაპეშტი; 17. ამფორა; 18. თარაზო; 19. ზებუ.

თარაზულად: 7. დღეობა; 8. კაპაბლანკა; 9. ეგრისი; 10. ხაჭაპური; 12. სარწყუნისი; 14. ზნეობა; 16. ტაილანდი; 18. თეთნულდი; 20. ირისი; 21. სპა; 22. პორტრეტი; 23. ვიში; 24. გუბაზოული.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6695	ევრო — 2.8983
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2952	100 რუსული რუბლი — 3.8780

ამინდის პროგნოზი 19 იანვრისათვის



სპალეტი: „კრემონეზესთან მარცხი მტკივნეული იყო“

ნაპოლიმ იტალიის თასის მერვედფინალში კრემონეზესთან ფრე 2:2 ითამაშა და პენალტების სერიაში დამარცხდა. საბოლოოდ ნაპოლი ტურნირს დაემშვიდობა და სპალეტიმ მატჩის შემდეგ იმედგაცრუება არ დამალა: „სამწუხაროდ, მეტოქე სათანადოდ არ დავაფასეთ და ამის გამო დავისაჯეთ, მაგრამ ფეხბურთელების გარჯით უკმაყოფილო არ ვარ. მათ მაქსიმუმი გააკეთეს“. ხვიჩა კვარაცხელიამ მატჩი ვირუსის გამო გამოტოვა.

რაფინიამ შესაძლოა კარიერა არსენალში გააგრძელოს

ბარსელონა თავისი ბრაზილიელი ვინგერის რაფინიას თამაშით უკმაყოფილოა და შესაძლოა უახლოეს მომავალში ის გაყიდონ. რაფინიას ჰყავს მსურველები და მათ შორის, ერთ-ერთი მათგანი არსენალია, რომელიც რაფინიაში 40 მილიონს იხდის, თუმცა, სავარაუდოდ, ბარსელონას ეს თანხა არ დააკმაყოფილებს. ბოლო შეხვედრებში რაფინია ძირითად მატჩებს სათადარიგოთა სკამზე იწყებდა.

გვარდიოლა: „სიტის ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავს“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მიუხედავად არსენალის დიდი უპირატესობისა, მის გუნდს მაინც აქვს ჩემპიონობის შანსი, რადგან არსენალს ჩავარდნა აუცილებლად ექნება: „ადრე თუ გვიან არსენალი ქულების დაკარგვას დაიწყებს და ჩვენ ჩვენი შანსი უნდა გამოვიყენოთ. წინ ბევრი მატჩია და ჩემპიონობისთვის ბრძოლა დამთავრებული არ არის“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

თანამდებობის პირი ქმარი სახლში ცუდ ხასიათზე დაბრუნდა. უსიტყვოდ მიუჯდა მაგიდას და ჭამა დაიწყო. ცოლი ცმუკავს, უნდა ქმარს ახალი ამბავი უთხრას. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და მეუღლეს ეუბნება:

– ძვირფასო, ფეხმძიმედ ვარ!

– შენც?!...

...

მანქანის საჭესთან მჯდომმა ქალმა საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია და თავისი მანქანით მეორე მანქანას შეასკდა. დამტვრეული მანქანიდან მამაკაცი გადმოდის და ქალს ეკითხება:

– გოგონი, მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდა ჩაბარებული გაქვთ?

– დიახ! და თქვენგან განსხვავებით, ბევრჯერ!

...

დირექტორი თანამშრომელს ეკითხება:

– რატომ დააგვიანე სამსახურში?

– თავი ბალიშის კიდეს ჩამოვარტყი და ორი საათით გონება დავკარგე.

...

ბავშვი უყურებს, როგორ ღებავს მამა კედელს. დედა ეუბნება:

– უყურე, შვილო, უყურე, ისწავლე და, რომ გაიზრდები, მამას მიეხმარები.

– რა, მანამდე ვერ დაამთავრებს?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქეთი მელუა ახალ ალბომს მარტში წარადგენს

მომღერალი ქეთი მელუა ახალ ალბომზე მუშაობს. დედობის სტატუსს მისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, ახალი სიმღერები ჩაეწერა და მსმენელისთვის გაზაფხულზე ალბომი წარედგინა.

24 მარტიდან ქეთი მელუას გულშემატკივრებს მისი ახალი კომპოზიციების მოსმენის შესაძლებლობა მიეცემათ. „სიყვარული და ფული“ –ასე ჰქვია მომღერლის ახალ ალბომს. კრებულიდან ერთი სიმღერა გასაჯაროვდა და ის მსმენელში უკვე დიდი მოწონებით სარგებლობს.

გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის პრემიერა იტალიაში გაიმართება

რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმის „მშვენიერი ელენე“ ევროპული პრემიერა იტალიაში გაიმართება.

21-28 იანვარს იტალია ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალს უმასპინძლებს, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი პრესტიჟული ღონისძიებაა.

გიორგი ოვაშვილის ფილმი საკონკურსო სექციაშია და მას მაყურებელი 25 იანვარს იხილავს. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, პრემიერას ფილმის გადამღები ჯგუფიც დაესწრება.

წელს, ინდუსტრიული კუთხით, ფესტივალის ე.წ. „ფოკუს ქვეყანა“ საქართველოა. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაში, რომელსაც კავკასიის რეგიონიდან კინოცენტრებისა და სხვა კინოორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე – მაკო ჭილაშვილი.

ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი უმასპინძლებს ინდუსტრიულ ღონისძიებას „როდესაც აღმოსავლეთი ხვდება დასავლეთს“, რომლის ფარგლებში გაიმართება სამუშაო შეხვედრები, ვორკშოპები და ტრენინგები, რაც კინემატოგრაფისტების პროფესიულ განვითარებასა და მათი პროექტების წარმატებით განხორციელებას უწყობს ხელს. წელს, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, ინდუსტრიულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრებიან ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები ლაშა ხალვაში, ირინა გელაშვილი, ერეკლე ინაშვილი, ქეთევან ვაშაგაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი, ნინო ჩიჩუა და ანა ხაზარაძე.

ვანდალებისგან დაზიანებული მიუსაფარ ძაღლთა სკულპტურა აღდგენილია



ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში მიუსაფარ ძაღლთა სკულპტურა რამდენიმე თვის წინ დაიდგა. მისი ავტორი გელა პატიაშვილია. ვანდალებმა ხელოვანის ნამუშევარი დააზიანეს, რომელიც ავტორმა აღადგინა და პირვანდელი სახე დაუბრუნა:

– მიუსაფარ ძაღლთა სკულპტურები აღდგენილია. უფასო ვანდალიზმის შედეგად დაზიანებულ ფიგურებს თავიანთი პირვანდელი სახე დაუბრუნდათ. დამატებით, ბრინჯაოს დაფა განთავსდა, სადაც ავტორის სახელი და ნამუშევრის დასახელებაა ნახსენები იმისათვის, რომ ნამუშევარი ადრინდელივით ანონიმური აღარ იყოს.

სამწუხაროდ, ის პოლემიკები რომლებიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა და რომელშიც მხოლოდ თაღლითურ-ფინანსური მაქინაციები მოიხსენებოდა – საერთოდ რა საჭირო იყო ამდენი ფულის ხარჯვა, უმჯობესია, უპატრონო ძაღლებისთვის მიეხედათ, მასალაზე ფული მოიპარეს და იმიტომაც გააფუჭეს და ა.შ. – და არავითარი წინადადება თვითონ ინსტალაციის არსზე, მიზანზე. სამწუხაროდ, არც ვანდალიზმის კრიტიკა ვნახე ამ სტატიებში. ამან, როგორც ჩანს, ე.წ. ინფლუენსერები არ შეაწუხა. არა უშავს.

მიუხედავად ამისა, მინდა ბედნიერი ახალი წელი ვუსურვო: ვანდალებს, რომლებმაც ფიგურები დააზიანეს, ზემოთ ნახსენები ფბ სტატუსების ავტორებს და იმათაც, რომლებიც მხოლოდ სხვისი კრიტიკით საზრდოობენ. მინდა ვუსურვო მათ წინსვლა და წარმატება, რომ უკეთესი კუთხიდან დაინახონ ცხოვრება, ჩვენი ქვეყანა და ის საზოგადოება, რომელიც აქამდე მხოლოდ უარყოფით იმპულსს უგზავნიდა მათ.

„მის სამყაროს“ ორგანიზატორები კონკურსის შედეგების გაყალბებაში არიან ეჭვმიტანილები

აშშ-ში სკანდალი აგორდა სილამაზის კონკურსის „მის სამყაროს“ ორგანიზატორებთან დაკავშირებით და რომლებიც შედეგების გაყალბებაში არიან ეჭვმიტანილები.

კომპანია JKN Global Group-ი ინტერნეტში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეხვა, ვინაიდან ამ დროისთვის მას ეკუთვნის ორივე კონკურსი: „მის აშშ“ და „მის სამყარო“. ამ უკანასკნელის გამარჯვებული ფილიპინური წარმომავლობის შეერთებული შტატების წარმომადგენელი რ,ბონი გაბრიელი გახდა, რამაც კონკურსის თაყვანისმცემლებს ეჭვი გაუჩინა, რომ მისი შედეგები გაყალბებული იყო.

ამ თეორიის მრავალი მომხრე მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ მეორე ადგილზე გასული ვენესუელის წარმომადგენელი ამანდა დუდამელი დასმულ შეკითხვებს გაცილებით უკეთ პასუხობდა, ხოლო მისი ჩაცმულობის მიმართ ნაკლები კრიტიკული შენიშვნები გამოითქმებოდა. გარდა ამისა 2022 წელს „მის აშშ-ის“ კონკურსში გაბრიელის გამარჯვებაც ასევე საეჭვოდ გამოიყურებოდა. მაშინ კონკურსის რამდენიმე ხელმძღვანელი დროებით იქნა ჩამოშორებული მათ სამუშაოს.

ამ ყოველივეს საპასუხოდ „მის სამყაროს“ კონკურსის გენერალურმა დირექტორმა ემი ემერიხმა განაცხადა, რომ კონკურსის შედეგები აშშ-ის ოთხიდან ერთ-ერთი წამყვანი აუდიტორული ფირმის მიერ იყო შემოწმებული და, რომელმაც მის შედეგებში დარღვევები ვერ აღმოაჩინა.

აღსანიშნავია, რომ ტაილანდური კომპანია JKN Global Group-ი, რომელსაც ქალი-ტრანსგენდერი ენ ჯაკრაჯუტატიპი ფლობს, კონკურსების „მის აშშ“ და „მის სამყაროს“ მფლობელი 2022 წლის ოქტომბერში გახდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეკა კახიანმა დაბადების დღე ესპანეთში გადაიხადა

მომღერალი ეკა კახიანი 59 წლის გახდა. მან დაბადების დღე შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში ესპანეთში გადაიხადა. დღესასწაულის ამსახველი ფოტოები ეკას ერთ-ერთმა შვილმა ქეთო თოფურიძემ ინტერნეტით გაავრცელა:

– დაბადების დღეს გილოცავ ჩემო საყვარელო დედიკო. ძალიან ბედნიერი იყავი მთელი ცხოვრება ჩვენთან ერთად. მადლობა ყველაფრისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 იანვრისათვის

ვერძი – ოჯახური ურთიერთობები კონფლიქტურია. აგრესია სრულ კრახს გამოიწვევს. საყვარელ ადამიანებს მეტი სითბო აჩუქეთ. **ჯარო** – თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ, შესაძლოა, მათ განხორციელებას ვინმემ ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუშალოს. **ტყუპები** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ეცადეთ, ემოციები არ გამოავლინოთ. **კირჩხიბი** – მზად იყავით არასასიამოვნო მოულოდნელობისათვის. ოჯახის წევრებთან პრინციპულობა არ ივარგებს. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. საქმიან პარტნიორს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. **ქალწული** – დღე, სავარაუდოდ, მძიმე იქნება. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **სასწორი** – მთლიანობაში, წარმატებული პერიოდია. სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა მოგიწევთ. ახალი ნაცნობობა იღბლიანი იქნება. **ღრიანკალი** – ძალზე აქტიური და საქმიანი დღეა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, დიდ წარმატებებს მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ სიცრუეს, რაც, შესაძლოა, კონფლიქტის მიზეზი გახდეს. თქვენს საქმეში სხვას ნუ ჩარევთ. **თხის რქა** – უსიამოვნო ინფორმაცია ცუდ გუნებაზე დაგაყენებთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეცვლებათ. **მერწყული** – ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატი მთლიანად თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ემოციები და საუბრის მანერა აკონტროლეთ. **თევზები** – დაისვენეთ, მიიღეთ სრულფასოვანი საკვები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ერიდეთ ყოველგვარ ნეგატივს.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბალეტ „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 2. ფრანგი მწერალი, „კარმენის“ ავტორი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. წყალში გახსნილი სახატავი საღებავი; 12. პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ კინორეჟისორის; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. მკვრივი ქანების სანგრევი, ორწვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. სარეკლამო ლოზუნგი; 19 იაპონური ხის ქოშები; 20. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება.

თარაზულად: 5. აფრიკის სახელმწიფო სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. წყლის საათი; 9. გულუხვი მასპინძელი; 10. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 11. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 13. წყლის საქაჩი მექანიზმი; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 18. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 21. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 23. უძველესი ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა